შემდეგი ტერმინები გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკაში შემდეგი განმარტებებით:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფინანსური აქტივების შეთავაზების/წინადადების მიმდინარე ფასს და ფინანსური ვალდებულებებისთვის მიმდინარე მოთხოვნილ ფასს, რომელიც კოტირებულია აქტიურ ბაზარზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ მე, თარჯიმანი მარინე პაპუნიძე, სრულყოფილად ვფლობ რა ინგლისურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილის მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს.

ქარინე პაპუნიძე

/_____/

არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები
კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ქვემოთ განხილული კატეგორიებიდან ერთ-ერთში, გამომდინარე იქედან თუ რა მიზნით იქნა აქტივი შეძენილი:

რეალური ღირებულება მოგებით ან ზარალით
აღნიშნული კატეგორია მოიცავს წარმოებულებს ფულად და წარმოებულებს უფულოდ, სადაც ღირებულება დროში აკომპენსირებს უარყოფით ნამდვილი ღირებულებას. ისინი აისახებიან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯის მუხლში. კომპანიას არც აქვს არანაირი აქტივი, რომელიც იქნებოდა განკუთვნილი ვაჭრობისთვის და არც ნებაყოფლობით არ ახდენს რომელიმე ფინანსური აქტივის კლასიფიცირებას, რომლებიც ფასდებიან რეალური ღირებულებით მოგებით ან ზარალით.

ამორტიზებული ღირებულება
აღნიშნული აქტივები წარმოიშობა უპირატესად კლიენტებისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებით, მაგრამ ასევე მოიცავს სხვა ფინანსურ აქტივებსაც, რომელთა მიზანიც მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ასეთი აქტივების დაკავება საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეკრების მიზნით, ხოლო საკონტრაქტო ფულადი ნაკადები წარმოადგენენ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს. თავდაპირველად მათი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით პლუს საოპერაციო ხარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ შეძენასთან ან გამოშვებასთან და შედეგად აისახება ამორტიზებულ ღირებულებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და გაუფასურების დებულების გამოკლებით.
მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება ფასს 9-ის ფარგლებში გამარტივებული მიდგომის საფუძველზე სასარგებლო მომსახურების ვადა, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე (სასარგებლო მომსახურების ვადა) სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. აღნიშნული პროცესის განმავლობაში ფასდება სავაჭრო დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის ალბათობა. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით, რათა განისაზღვროს სავაჭრო დებიტორული დავალიანების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის, რომელიც აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, ასეთი რეზერვები აღირიცხება რეზერვის განცალკევებულ ანგარიშზე, ხოლო დანაკარგი/ზარალი აისახება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. მას შემდეგ რაც დადასტურდება, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანება აღარ ექვემდებარება დაბრუნებას, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერა ხდება შესაბამისი რეზერვის ხარჯზე.
დაკავშირებული მხარეებისგან დებიტორული დავალიანებებისთვის და დაკავშირებული მხარეებისთვის სესხების გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების საპროგნოზო მოდელის საფუძველზე. რეზერვის თანხის განსაზღვრისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია დაფუძნებული იმაზე, ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების მომენტიდან ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. იმ შემთხვევებში, როცა ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების მომენტიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, ხდება თორმეტი თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება მთლიან საპროცენტო შემოსავალთან ერთად. ხოლო იმ შემთხვევებში, როცა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება მთლიან საპროცენტო შემოსავალთან ერთად. იმ შემთხვევებში, როცა კრედიტი განსაზღვრულია გაუფასურებულად,

მე, თარჯიმანი მარინე პაპუნიძე, სრულყოფილად ვფლობ რა ინგლისურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილის მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს.

მარინე პაპუნიძე

/_____/

ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება წმინდა საპროცენტო შემოსავალთან ერთად.
ხანდახან კომპანია იღებს გადაწყვეტილებას გადახედოს იმ კლიენტების სავაჭრო დებიტორული დავალიანებების პირობებს, რომლებთანაც ადრე ჰქონდა კარგი სავაჭრო ისტორია. ამგვარი გადახედვა გამოიწვევს გადახდის ვადების ცვლილებას და არა დავალიანების თანხის ცვლილებას და შედეგად ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, ხოლო ნებისმიერი წარმოშობილი სხვაობა საბალანსო ღირებულებასთან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).
კომპანიის ფინანსური აქტივები, შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, ასევე ფულს და ფულის ეკვივალენტს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში.
ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს თანხას სალაროში და დეპოზიტებს განთავსებულს ბანკში მოთხოვნამდე.

რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით
რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივები სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით, აისახება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალური ღირებულების ცვლილებები აისახება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება რეალურ ღირებულებაში სხვა სრული შემოსავლის რეზერვების მეშვეობით. რეალიზაციისას, ნებისმიერი სალდო რეალური ღირებულების ფარგლებში სხვა სრული შემოსავლის რეზერვის მეშვეობით რეკლასიფიცირდება უშუალოდ გადაუნაწილებელ შემოსავალში და არ რეკლასიფიცირდება მოგების ან ზარალის შემადგენლობაში.
საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული როგორც რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით.

ფინანსური ვალდებულებები
კომპანია თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორიდან ერთ-ერთ კატეგორიაში, იმ მიზნიდან გამომდინარე თუ რა მიზნითაც იყო შეძენილი ვალდებულება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის გამოიყურება შემდეგნაირად:

რეალური ღირებულება მოგებით ან ზარალით
აღნიშნული კატეგორია მოიცავს წარმოებულებს უფულოდ, სადაც ღირებულება დროში არ აკომპენსირებს უარყოფით ნამდვილ ღირებულებას. (იხილეთ „ფინანსური აქტივები“ წარმოებულებისთვის ფულად და წარმოებულებისთვის უფულოდ, სადაც ღირებულება დროში აკომპენსირებს უარყოფით ნამდვილ ღირებულებას.)
ისინი აისახებიან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანიას არც აქვს არანაირი აქტივი, რომელიც იქნებოდა განკუთვნილი ვაჭრობისთვის და არც რომელიმე ფინანსური ვალდებულება აქვს შეფასებული რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები
სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- საბანკო სესხები, რომელთა აღიარებაც საწყის ეტაპზე ხდება წმინდა რეალური ღირებულებით, ინსტრუმენტის გამოცემასთან უშუალოდ დაკავშირებული ნებისმიერი საოპერაციო ღირებულების გამოკლებით. მსგავსი პროცენტიანი ვალდებულებები შედეგად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერ საპროცენტო დანახარჯს, ვალდებულების დაფარვის პერიოდის განმავლობაში, ექნება უცვლელი განაკვეთი ვალდებულების ბალანსზე, რომელიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. თითოეული ფინანსური ვალდებულების მიზნებისთავის, საპროცენტო ხარჯები მოიცავს თავდაპირველი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დანამატს, რომელიც ექვემდებარება ვალდებულების დაფარვისას გადახდას, აგრეთვე ნებისმიერი პროცენტი ან კუპონი, რომელიც ექვემდებარება გადახდას, მანამ სანამ ვალდებულება არ იქნება შესრულებული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპროცენტო ვალდებულება.
- კონვერტირებადი სესხის ვალდებულებების კომპონენტები ფასდება ისე, როგორც არის აღწერილი ქვემოთ. კომაპნიას არ გააჩნია არანაირი კონვერტირებადი სასესხო ვალდებულება.
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოკლევადიანი ფულადი ვალდებულება, რომლებიც საწყის ეტაპზე აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომ ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

მე, თარჯიმანი მარინე პაპუნიძე, სრულყოფილად ვფლობ რა ინგლისურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილის მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს.

მარინე პაპუნიძე

/_____/

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, და სხვა ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე ან დებიტორულ დავალიანებებს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

სავაჭრო და სხვა დებიტორული ანგარიშები

სავაჭრო და სხვა დებიტორული ანგარიშები წარმოადგენს თანხებს, რომლებიც მომხმარებლების მიერ კომპანიის სასარგებლოდ ექვემდებარება გადახდას გაწეული მომსახურების ან პროდუქციის მიწოდების სანაცვლოდ საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში. თუკი აღნიშნული თანხების შეკრება მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან უფრო ნაკლებ დროში (ან ბიზნესის ჩვეულებრივ საოპერაციო ციკლში, თუ ის უფრო ხანგრძლივ დროს მოიცავს), ეს თანხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, ისინი წარმოდგენილნი არიან გრძელვადიან აქტივებად.

სავაჭრო და სხვა დებიტორული ანგარიშები აღირიცხება დღგ–ს ჩათვლით.

სასაქონლო–მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგები მითითებულია ორი სიდიდის მიხედვით: თვითღირებულებით და სავარაუდო გასაყიდი ფასით დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო ხარჯების გამოკლებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება მარაგების გაუფასურება. თუ მარაგი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო ხარჯების გამოკლებით; გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება ნივთების შეძენას.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღაირდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღაირდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები აისახება მისი თავდაპირველი/ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, საბალანსო ღირებულებაზე. ყველა ჯგუფის ძირითად საშუალებას ამორტიზაცია/ცვეთა დაერიცხება წრფივი მეთოდით, რათა განისაზღვროს მათი ღირებულებები შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადებისათვის:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	60
ავეჯი და მოძრავი ქონება	5
მანქანები და მოწყობილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	7
სხვა	3-5

აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ აქტივები სრულად ამორტიზირებულია. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო წლის დასასრულს.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ დაიყვანება მის ანაზრაურებას დაქვემდებარებულ ღირებულებამდე თუკი აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მოსალოდნელ ანაზღაურებად თანხას.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აისახება საწყისი ღირებულებით, რომელსაც აკლდება ამორტიზაცია/ცვეთა და დაგროვებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაცია/ცვეთა ირიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე მათ სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. სასარგებლო მომსახურების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს გადაიხედება, პერსპექტიულ საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი შეფასების გათვალისწინებით.

მე, თარჯიმანი მარინე პაპუნიძე, სრულყოფილად ვფლობ რა ინგლისურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილის მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს.

მარინე პაპუნიძე

/ ქ. /

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამებს, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელს შეადგენს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვადებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსური ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები აისახება დღგ–ს ჩათვლით.

საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადი გადაიდება წმინდა შემოსავლის განაწილებამდე. კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 15% -ს შეადგენს, ტექნიკურად 15% -იანი 85% -იანი განაკვეთი გამოიყენება დასაბეგრი ობიექტის ოდენობაზე.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტებია შემდეგი ოპერაციები / ფაქტობრივი გადახდები:

- დივიდენდების გადახდა;
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
- ხარჯები, რომლების არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- გადახდები, რომლების არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საჩუქრები და უფასო მიწოდება;
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივები ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები.

საშემოსავლო გადასახადი, გადახდილი შემოსავლებთან მიმართებაში 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე არ ექვემდებარება მეორეჯერ დაბეგვრას.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ უნდა გადაიხადოს გადასახადები ერთიანი სახაზინო კოდით, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს წმინდა საფუძველზე.

გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა, აღიარდება ვალდებულებითი მოვლენების დადგომისთანავე. ვალდებულებითი მოვლენები წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელიც იწვევს გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობას. გადასახადები, გადახდილი წინასწარ, აღიარდება აქტივის სახით, თუკი მოსალოდნელია რომ მომავალს ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს საწარმო.

შემოსავალი

ვალდებულების შესრულება და შემოსავლის აღიარების ვადები

კომპანიის შემოსავლის მიღება ხდება საქონლისა და მომსახურების გაყიდვის შედეგად, ამასთან შემოსავლის აღიარება ხდება იმ მომენტში, როცა საქონელზე კონტროლის უფლება გადავიდა მყიდველთან. როგორც წესი, ეს ხდება მაშინ როცა საქონელი/მომსახურება მიეწოდება მყიდველს.

შემოსავალი იზომება/ფასდება რეალური ღირებულებით მიღებული და მისაღები შემოსავლების მიხედვით. შემოსავალი აისახება დამატებითი ღირებულების გადასახადის, დაბრუნებების, ფასდათმობებისა და შეღავათების/ფასდაკლებების და კომპანიის შიგნით გაყიდვების ელიმინირების შემდეგ. კომპანიის საქმიანობა მოიცავს მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევას.

მომსახურების მიწოდების კონტრაქტისგან შემოსავალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- შესაძლებელია შემოსავლის მოცულობის სანდოდ შეფასება;
- სავარაუდოა, რომ გარიგებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს პირი(იურ.)/სუბიექტი;
- საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გარიგების დასრულების ეტაპი შეიძლება საიმედოდ შეფასდეს; და
- გარიგებისთვის გაწეული ხარჯები და გარიგების დასრულების ხარჯები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის დიდი ნაწილი მიიღება ისეთი კონტრაქტებისგან, რომლებიც გაფორმებულია ფიქსირებული ფასის მითითებით, ამდენად შემოსავლის ოდენობა, რომლის მიღებაც ხდება თითოეული კონტრაქტისგან, განისაზღვრება აღნიშნული ფიქსირებული ფასების საფუძველზე.

მე, თარჯიმანი მარინე პაპუნიძე, სრულყოფილად ვფლობ რა ინგლისურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილის მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს.

მარინე პაპუნიძე

/_____/

ვალდებულებათა თანხების გადანაწილება ვალდებულების შესრულების მიხედვით
კონტრაქტებისთვის არსებობს ფიქსირებული ფასი თითოეული გაყიდული პროდუქტისთვის, ფასდაკლების გათვალისწინებით, რომელიც მოქმედებს კონკრეტულ დროს საბითუმოდ შეკვეთილ პროდუქციაზე. ამდენად, ასეთ კონტრაქტებში არ არის არანაირი მსჯელობა, რომელიც უკავშირდება საკონტრაქტო ფასის განაწილებას თითოეული შეკვეთილი ერთეულისთვის. (აღნიშნული მოიცავს მთლიან საკონტრაქტო ფასს, რომელიც გაყოფილია შეკვეთილი ერთეულების რაოდენობაზე). თუ კლიენტი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქციის ხაზს, კომპანიას შეუძლია განსაზღვროს საერთო საკონტრაქტო ფასის გაყოფა აღნიშნული პროდუქტების ხაზებს შორის, თითოეული პროდუქტის ცალკეულად აღებული გასაყიდი ფასის მისხედვით (პროდუქციის ყველა ხაზი შეიძლება გაიყიდოს და იყიდება განცალკევებით).

ხარჯების აღიარება
ხარჯები აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიქმნება მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც უკავშირდება აქტივის შემცირებას ან ვალდებულების გაზრდას, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.
ხარჯების, რომელთა გაწევაც მოხდა მომსახურების მიწოდებისას, აღიარება ხდება აღიარებული შემოსავლების პროპორციულად. ხარჯები აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯებს შედეგად აღარ მოსდევს მომავალი ეკონომიკური სარგებელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან ბალანსში აქტივად აღაირების მოთხოვნას.

თანამშრომელთა სარგებელი
გაწეული შრომის ანაზღაურების, ხელფასების, ბონუსების და არაფულადი სარგებელის აღიარება ხდება იმ წელში, რომელშიც შესაბამისი მომსახურებები იქნა გაწეული კომპანიის თანამშრომელთა მიერ.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები
პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონონიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.
ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.
ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს:

(ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

(ბ) კანონმდებლობიდან; ან

(გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

იჯარა
კომპანია, როგორც მეიჯარე
როგორც წესი, 2019 წლის 1 იანვრის თავდაპირველი განაცხადის შემდეგ კომპანიისთვის გამოიყენება შემდეგი პოლიტიკები.
იჯარის იდენტიფიკაცია

მე, თარჯიმანი მარინე პაპუნიძე, სრულყოფილად ვფლობ რა ინგლისურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილის მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს.

მარინე პაპუნიძე

/_____/

ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას, როცა ის გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას გარკვეული დროის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ. ხელშეკრულების დადებისას, კომპანია აფასებს აკმაყოფილებს თუ არა იგი ორ შემდეგ კუმულატიურ პირობას, იჯარად კვალიფიკაციისთვის:

- მისი შესრულება მოიცავს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას და
- ის გადასცემს მითითებული აქტივის გამოყენების წარმართვის უფლებას.

თავდაპირველი აღიარება

იჯარის ყველა ხელშეკრულების აღრიცხვა ხდება აქტივების სარგებლობის უფლების ქონისა და საიჯარო ვალდებულების აღიარებით, გარდა:

- დაბალი ღირებულების აქტივების იჯარა; და
- იჯარა 12 თვიანი ან ნაკლები ხანგრძლივობით.

კომპანიის ბალანსში იჯარის აღიარება ხდება შემდეგნაირად:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს ძირითადი აქტივის გამოყენების უფლებას საიჯარო ვადის განმავლობაში;
- საიჯარო გადასახადის გადახდის ვალდებულება.

საიჯარო ვალდებულებები ფასდება სახელშეკრულებო გადასახადების ამჟამინდელი ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს მოიჯარის ვალდებულებას იჯარის ვადის განმავლობაში, ფასდაკლების მაჩვენებლით, რომელიც განისაზღვრება საიჯარო თანხის განაკვეთის მითითებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის მარტივად განსაზღვრა შეუძლებელია, ამ შემთხვევაში გამოიყენება კომპანიის დამატებითი ნასესხები სახსრების მოზიდვის მაჩვენებელი იჯარის დასაწყისისთვის. ცვლადი საიჯარო გადასახადები შედის საიჯარო ვალდებულების გაზომვაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.

თავდაპირველი აღიარებისას, საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება ასევე შეიცავს:

- მოსალოდნელი ხარჯები რომელიც უნდა იქნას გადახდილი ნებისმიერი ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულების გარანტიით;
- კომპანიის სასარგებლოდ მინიჭებული შეძენის ნებისმიერი მყიდველის ოპციონის შესრულების ფასი, თუ გონივრულია, რომ მოხდეს ასეთი არჩევანის შეფასება;
- საიჯარო შეწყვეტისთვის გადასახდელი ნებისმიერი ჯარიმა, თუ იჯარის ვადა შეფასებულია შეწყვეტის ოფციონის საფუძველზე.

ძალაში შესვლის დღეს კომპანია აფასებს აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით. აქტივებით სარგებლობის უფლების ღირებულებაში შედის:

- საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასების ოდენობა;
- საიჯარო გადასახადები, რომლებიც შესრულებულია იჯარის ძალაში შესვლისას ან მის დაწყებამდე;
- გაწეული პირველადი პირდაპირი ხარჯები; და
- ნებისმიერი დებულებით გათვალისწინებული, აღიარებული თანხა, როდესაც კომპანია ხელშეკრულების პირობებით ვალდებულია განახორციელოს იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟი, აღება/ადგილიდან წაღება ან აღდგენა (როგორც წესი, იჯარით აღებული აქტივის დანგრევა/აღდგენის პირობები).

შემდგომი შეფასება

საწყისი შეფასების შემდეგ, საიჯარო ვალდებულებები იზრდება პროცენტის შედეგად, რომელიც თანხის მუდმივი პროცენტით დარიცხულია დარჩენილი ბალანსზე და შემცირდება საიჯარო გადასახდელებისათვის. სარგებლობის უფლების მქონე აქტივები ამორტიზება ხდება წრფივი ჩამოწერის მეთოდის საფუძველზე იჯარის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ, იშვიათად, მაგრამ ჩაითვალა რომ ეს უკანასკნელი უფრო მოკლეა, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია განიხილავს იჯარის ვადებს შეფასებისთვის (რადგან, მაგალითად, იგი ხელახლა აფასებს მოიჯარის გახანგრძლივების ან შეწყვეტის ოფციონის გამოყენების ალბათობას), იგი არეგულირებს საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, რომ ასახოს გადახდები. შესწორებული ვადის განმავლობაში, რომლებიც ფასდაკლებულია შესწორებული ფასდაკლების განაკვეთით.

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ანალოგიურად გადაისინჯება, როდესაც სამომავლო საიჯარო გადასახადების ცვლადი ელემენტი დამოკიდებული განაკვეთზე ან ინდექსზეა, გარდა ფასდაკლების განაკვეთისა რომელიც უცვლელი რჩება. ორივე შემთხვევაში ექვივალენტური კორექტირება ხორციელდება გამოყენების უფლებაში მქონე აქტივის საბალანსო ღირებულებასთან, შესწორებული საბალანსო ღირებულების ამორტიზაცია ხდება დარჩენილი (შესწორებული) საიჯარო ვადის განმავლობაში. თუ სარგებლობის უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულება ნულამდე დაკორექტირდა, ნებისმიერი შემდგომი შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მე, თარჯიმანი მარინე პაპუნიძე, სრულყოფილად ვფლობ რა ინგლისურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილის მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს.

მარინე პაპუნიძე

/_____/

როდესაც კომპანია ხელახლა აწარმოებს იჯარის ხელშეკრულების პირობების მოლაპარაკებას გამქირავებელთან, აღრიცხვა დამოკიდებულია ცვლილების ხასიათზე:

- თუ ხელახალი მოლაპარაკების შედეგად მოხდა ერთი ან მეტი დამატებითი აქტივის იჯარით აღება და მისი ღირებულებით როგორც ეს შეესაბამება ცალკე აღებული აქტივის ღირებულებას, მოდიფიკაცია აღირიცხება როგორც ცალკე იჯარა ზემოთ მოცემული პოლიტიკის შესაბამისად;
- ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც ხელახალი მოლაპარაკება ზრდის საიჯარო მოქმედების მასშტაბს/მოცულობას (იქნება ეს საიჯარო ვადის გაგრძელება, თუ ერთი ან მეტი დამატებითი აქტივი იჯარით აღებულია), საიჯარო ვალდებულება განისაზღვრება ცვლილების თარიღზე მოქმედი ფასდაკლების განაკვეთის გამოყენებით, სარგებლობის უფლებაში მქონე აქტივის კორექტირებით იმავე ოდენობით;
- თუ ხელახალი მოლაპარაკება იწვევს იჯარის მოქმედების მოცულობის შემცირებას, საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება და აქტივის სარგებლობის უფლების ღირებულება შემცირდება იმავე პროპორციით, რათა ის აისახოს როგორც იჯარის ნაწილობრივი ან სრული დასრულება, მოგების ან ზარალის ნაწილში დაფიქსირებული ნებისმიერი სხვაობით. საიჯარო ვალდებულება შემდგომ კორექტირდება, რათა საბალანსო ღირებულებამ ასახოს ხელახალი მოლაპარაკებებით გადასახდელი თანხების ოდენობა დაკორექტირებული საიჯარო ვადების საპირწონედ, მოდიფიკაციის დღეს მოქმედი განაკვეთით დაკორექტირებული, შეცვლილი საიჯარო გადახდებით, სარგებლობის უფლებით აღებული აქტივი კორექტირდება იმავე ოდენობით.

კომპანია ირჩევს, აქტივის სახეობის ხედვით, არ გამოყოს არასაიჯარო კომპონენტები საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად აღრიცხავს თითოეული საიჯარო კომპონენტს და მასთან დაკავშირებულ არასაიჯარო კომპონენტებს, როგორც ერთ საიჯარო კომპონენტს.

საიჯარო ვადის განსაზღვრა

საიჯარო ვადა განისაზღვრება, როგორც საიჯარო არა-გაუქმებადი ვადა, აგრეთვე ნებისმიერი პერიოდი, რომელიც მოიცავს საიჯარო ვადის გაგრძელების არჩევანს (მათ შორის, ჩვეულებრივი ბიზნესის პრაქტიკაში გათვალისწინებული განახლების არჩევანს), თუ იგი გონივრულია, რომ უნდა იქნას გამოყენებული, ან ნებისმიერი ვადა გათვალისწინებული იჯარის შეწყვეტის პირობით, თუ გონივრულია, რომ ის არ განხორციელდება.
მენეჯმენტი იყენებს გადაწყვეტილებას საიჯარო ვადის დადგენის თაობაზე, როდესაც საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს განახლების ოფციებს, რომლებიც მხოლოდ კომპანიის მიერ ხორციელდება. იგი განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტორს, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს განახლების ვარიანტის გამოყენებისათვის. ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვადას, თუ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან ვითარების შეცვლა, რაც მის კონტროლს ექვემდებარება და გავლენას ახდენს მისი მოქმედების განახლების ან ლიზინგის შეწყვეტის შესაძლებლობის გამოყენებაზე (ან არ გამოიყენებაზე).

დამატებითი სესხის პროცენტის განაკვეთის განსაზღვრა (IBR)

IBR არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოიჯარეს უნდა გადაეხადა რათა აეღო მოეპოვებინა სახსრები, მსგავსი ვადით და მსგავსი გარანტიებით, რომლებიც აუცილებელი იქნებოდა მსგავსი ღირებულების აქტივის გამოყენების უფლების მისაღებად, ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში.
მენეჯმენტი იჩენს წიდახედულებას IBR– ის შესაფასებლად. მენეჯმენტი იყენებს ხელმისაწვდომ ინფორმაციას, რათა განისაზღვროს საბაზო განაკვეთი და მოიჯარის სპეციფიკური ფაქტორების და აქტივის ფაქტორებისთვის კორექტირება (კორექტირება უსაფრთხოებისთვის).

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში, ყოველდღიურ ბიზნესის პრაქტიკაში მიღებულია საიჯარო განახლების ოპცია იყოს ნაგულისხმევი და ამიტომ ყველა განახლება არ არის დოკუმენტირებული საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს, რომ გადახდება განახლებული პერიოდებისთვის უცვლელი რჩება საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარა

კომპანია იყენებს აღიარების შეღავათს მოკლევადიანი იჯარებისთვის (ე.ი. იჯარა საიჯარო ვადით 12 თვე ან ნაკლები დაწყების დღიდან) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარისთვის. ასოცირებული საიჯარო გადასახადები აღიარებულია, როგორც ხარჯი შემოსავლების ანგარიშგებაში პროპორციული ჩამოწერის მეთოდით საიჯარო ვადის განმავლობაში.

მე, თარჯიმანი მარინე პაპუნიძე, სრულყოფილად ვფლობ რა ინგლისურ ენას, გადავთარგმნე აღნიშნული დოკუმენტი ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ვიძლევი ზუსტი და სწორი თარგმანის გარანტიას. არასწორი თარგმანის შემთხვევაში ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილის მიერ და მისი თანდასწრებით ვაწერ ხელს.

მარინე პაპუნიძე

საქართველო, ქალაქი ბათუმი
ორი ათას **ოცი** წლის **თექვსმეტი სექტემბერი**

მე, ნოტარიუსი **ხათუნა კალანდარიშვილი,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქუჩა N12, ვამოწმებ თარჯიმნის მარინე პაპუნიძის, დაბადებული 06/09/1989, რუსეთში, პირადი N61008014495, პასპორტის №10BA49384, პასპორტის გაცემის თარიღი: 08.06.2011. მოქმედების ვადა: 08.06.2021. გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები: ქ. ბათუმი, ვ. მაიაკოვსკის ქუჩა №62, ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. ამასთანავე განვმარტავ, რომ წინამდებარე სანოტარო აქტით დასტურდება მხოლოდ თარჯიმნის ხელმოწერა, რაც არ გულისხმობს თარგმანის ნამდვილობის შემოწმებას, რომელზეც პასუხისმგებელია ხელმომწერი თარჯიმანი. მას მიღებული აქვს ჯეროვანი განმარტება არასწორი თარგმანის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

ქალბატონ მარინე პაპუნიძის პირადობა დადგენილია ჩემს მიერ, შემოწმებულია მისი ქმედუნარიანობა, ასევე მისი უფლებაუნარიანობა, თანახმად ინგლისური ენის კურსის გავლის სერტიფიკატისა, გაც. აგრობიზნესის განვითარების ცენტრის მიერ 2011 წლის სექტემბერში.

დამოწმებულია 29 (ოცდაცხრა) ხელწერის ნამდვილობა, 1 (ერთ) ეგზემპლარად და შესაბამისად გადახდილია საზღაური **58,00** ლარი. თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება #507) 31 მუხლის და, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა **10,44** ლარი, ასევე რეგისტრაციის საფასური **2.00** ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა.

ნოტარიუსი: _____ ხათუნა კალანდარიშვილი

საქართველო ნოტარიუსი ხათუნა კალანდარიშვილი * GEORGIA NOTARY KHATUNA KALANDARISHVILI * 61001014087

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200707971
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.09.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ხათუნა კალანდარიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქუჩა #12
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	27-73-43
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	97987338562420

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შპს „ქერვან ტურიზმი -LTD KERVAN TURIZM“

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2019 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად 3

1. კომპანიის დაარსებისა და განვითარების ისტორია 4

პირის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა 4

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ 4

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 5

ძირითადი არაფინანსური ინდიკატორის ანალიზი: 6

ძირითადი ფინანსური ინდიკატორის ანალიზი: 6

დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 7

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 7

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „ქერვან ტურიზმი -LTD KERVAN TURIZM" კომპანიის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 28 ივლისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიოს" სახელით

21 სექტემბერი 2020

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „ქერვან ტურიზმი -LTD KERVAN TURIZM" კომპანიის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 28 ივლისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიოს" სახელით

21 სექტემბერი 2020

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

მმართველობის ანგარიშგება

1. კომპანიის დაარსებისა და განვითარების ისტორია

შპს „ქერვან ტურიზმი -LTD KERVAN TURIZM“ – ფუნქციონირებს "სასტუმრო დივანი"–ს სახელით რომელიც განთავსებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლთან ახლოს, აჭარის რეგიონში, ქ. ბათუმის ცენტრალურ უბანში. სასტუმრომ საქმიანობა დაიწყო 2014 წლის მაისში.

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის სამომავლო გეგმების შესახებ

სასტუმრო მოიცავს 65 ნომერს, ორ საკონფერენციო დარბაზს, გამაჯანსაღებელ და სპა ცენტრს. სასტუმრო გამოირჩევა კეთილმოწყობითა და შთამბეჭდავი არქიტექტურით. დივან ჯგუფის სასტუმროების ქსელის სასტუმრო ბათუმში განკუთვნილია, როგორც საქმიან მოგზაურობაში მყოფი, ასევე დასვენების მოყვარული სტუმრებისთვის. სასტუმრო დამსვენებლებს სთავაზობს შემდეგი სახის ნომრებს: 39 სტანდარტული, 8 სუპერიერი, 5 დელუქსი, 3 ჯუნიორ სვითი, 6 ქორნერ სვითი, 2 ბიზნეს სვითი და 2 პენტჰაუს თაუერ სვითი.

სამომავლოდ კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს გაზარდოს მარკეტინგის ხარჯი როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ, გაკეთდეს რაც შეიძლება მეტი სარეკლამო რგოლი ონლაინ არხებზე, გაუმჯობესდეს კომპანიის ონლაინ საიტი, მოეწყოს ნომრების პრეზენტაცია სტუმრებისთვის, მონაწილეობა მიიღოს სხვა და სხვა საერთაშორისო გამოფენებზე, სასტუმროში გაზარდოს კომფორტი და დამატებითი შესაძლებლობები. - ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ახალი ბაზრების მოძიებას ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან როგორც მაღალ ასევე საშუალო სეზონზე.

რაც შეეხება დაბალ სეზონს, ხელმძღვანელობა ორიენტირებულები იქნება ადგილობრივ კორპორატიულ ბაზარზე.

2019 წელს თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 47 ადამიანი (აქედან 22 ქალი).

კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევასა თუ შემუშავების აქტივობებში.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. სს „დივან ტურიზმ ისლეთმელერი“ (DIVAN TURIZIM ISLETMELERI A.S.) წარმოადგენს შპს "ქერვან ტურიზმი"–სთვის მომსახურებისა და ბრენდის მიმწოდებელს. DIVAN-ის ქსელში გაერთიანებულია რამოდენიმე სასტუმრო მსოფლიოს მასშტაბით.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2019	2018
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	12,199,412	12,778,930
არამატერიალური აქტივები	4,053	20,009
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	92,441	11,298,346
სულ აქტივები	**12,295,906**	**24,097,285**
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	79,359	71,043
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	227,860	239,008
საგადასახადო აქტივი	1,910,748	1,545,382
ფული და ფულის ეკვივალენტები	772,848	221,023
გრძელვადიანი აქტივები განკუთვნილი კაპიტალის განაწილებისთვის	11,840,677	-
სულ მიმდინარე აქტივები	**14,831,492**	**2,076,456**
სულ აქტივები	**27,127,398**	**26,173,741**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	35,165,059	33,771,037
აკუმულირებული ზარალი	(8,418,120)	(7,918,580)
სულ საკუთარი კაპიტალი	**27,746,939**	**25,852,457**
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	380,459	321,284
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**380,459**	**321,284**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**27,127,398**	**26,173,741**

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2019	2018
შემოსავალი	3,039,036	3,515,337
მოხმარებული ნედლეული და მასალები	(206,132)	(297,912)
ცვლილება მარაგებში	8,316	(1,960)
პერსონალზე გაწეული ხარჯები	(1,268,368)	(1,149,164)
ცვეთა და ამორტიზაცია	(707,316)	(1,017,923)
სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა	(1,173,106)	(1,074,024)
ლიცენზიის ხარჯი	(191,746)	(259,676)
საოპერაციო ზარალი	**(499,316)**	**(285,322)**
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(16,341)	(40,966)
ფინანსური შემოსავალი	16,117	20,990
ზარალი დაბეგვრამდე	**(499,540)**	**(305,298)**
სულ ზარალი	**(499,540)**	**(305,298)**

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ძირითადი არა-ფინანსური ინდიკატორის ანალიზი:

	2019	2018
დაკავებული ოთახები	12,866	14,334
დაკავებული ოთახები %	53,41%	59,96%
ოთახების საშუალო გასაყიდი ფასი	188	185
საშუალო თანამშრომლების რაოდენობა	47	55.00

ძირითადი ფინანსური ინდიკატორის ანალიზი:

	2019	2018
მიმდინარე აქტივები*	2,990,815	2,076,456
მიმდინარე ვალდებულებები	380,459	321,284
მიმდინარე ლიკვიდობა	**7.86**	**6.46**

(*) - მიმდინარე აქტივები არ მოიცავს აქტივებს კაპიტალის გასანაწილებლად, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 11,840,677 ლარის ღირებულებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით).

2019 წელს კომპანიის საგადასახადო აქტივი 2018 წელთან შედარებით დაახლოებით 21%-ით არის გაზრდილი. ასევე, გაზრდილია ფულისა და ფულის ეკვივალენტების მაჩვენებელი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საერთო ჯამში, კოეფიციენტი არ არის მნიშვნელოვნად შეცვლილი, რადგან კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში არ შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

	2019	2018
მიმდინარე აქტივები (მარაგის გამოკლებით)	2,911,456	2,005,413
მიმდინარე ვალდებულებები	380,459	321,284
სწრაფი ლიკვიდობა	**7,65**	**6.24**

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი არსებითად არ შეიცვალა 2018 წელთან შედარებით.

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	136,733	166,482
შემოსავლი	3,039,036	3,515,337
დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა (კოეფიციენტი)	**17**	**17**

დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი არსებითად არ შეიცვალა წინა წლებთან შედარებით. კოეფიციენტის მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია კომპანიის მენეჯმენტისთვის.

	2019	2018
საოპერაციო ზარალი	(499,316)	(285,322)
შემოსავლი	3,039,036	3,515,337
მთლიანი სრული ზარალის კოეფიციენტი	**-16%**	**-8%**

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

მთლიანი სრული ზარალის კოეფიციენტში გაიზარდა წინა წელთან შედარებით, ცვლილება უმეტესწილად გამოწვეულია შემოსავლის შემცირებით წინა წლებთან შედარებით.

	2019	2018
წმინდა ზარალი	(499,540)	(305,298)
შემოსავლი	3,039,036	3,515,337
წმინდა ზარალის კოეფიციენტი	**-16%**	**-9%**

წმინდა ზარალის კოეფიციენტი გაიზარდა წინა წელთან შედარებით, ცვლილება უმეტესწილად გამოწვეულია შემოსავლის შემცირებით წინა წლებთან შედარებით.

სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს კომპანიაში არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოო მიზნები და პოლიტიკა რისკებთან მიმართებაში

სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება უარყოფითად მოქმედებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე. აქედან გამომდინარე ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი.

კონკურენციის რისკი - რეგიონში საკმაოდ მომრავლდა სასტუმრო ობიექტები (სასტუმროს ტიპის აპარტამენტები, საოჯახო სასტუმროები, სასტუმროები); აშენდა და ექსპლუატაციაში გაეშვა (ფუნქციონირებს) ასეულობით ახალი სასტუმრო ნომერი, რაც სასტუმრო მომსახურების ფასებზე უარყოფითად მოქმედებს. ამ სფეროში უკვე დიდია კონკურენცია, რაც თავისთავად წარმოადგენს გარკვეულ რისკებს გასაწევ ხარჯებთან და მისაღებ შემოსავლებთან მიმართებაში; კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს ფასების პოლიტიკით, მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესების, რეკლამის, მომსახურების მრავალფეროვნების, ხარჯების ოპტიმიზაციის, ცალკეულ პროექტებში მონაწილების და სხვა მთელი რიგი ღონისძიებების ხარჯზე მაქსიმალურად შეამციროს ხსენებული რისკების უარყოფითი გავლენა კომპანიის შემოსავლებზე.

კო-ვიდ 19-თან დაკავშირებული რისკი - მსოფლიოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე საქართველოში სასტუმროები გადავიდნენ შიდა ტურიზმზე. ამჟამად სასტუმრო ფუნქციონირებს როგორც საკარანტინე ზონა და უწევს მომსახურებას ტურიზმის დეპარტამენტს. კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს გააგრძელოს სახელმწიფოსთან თანამშრომლობა მანამ, სანამ საქართველოში არ შეიცვლება ეპიდემიოლოგიური ვითარება.

ვირუსის სამომავლო ეფექტის პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა განაგრძობს შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას რათა მოხდეს ამ რისკების მინიმუმამდე დაყვანა, თუმცა კომპანიის ქცევა მთლიანად არის დამოკიდებული ქვეყანაში და მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა რისკებზე და მათ მართვაზე იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 21 სექტემბერს კომპანიის დირექტორის მიერ:

დირექტორი _____ ზურაბ ბერიძე

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა რისკებზე და მათ მართვაზე იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 21 სექტემბერს კომპანიის დირექტორის მიერ:

დირექტორი _____ ზურაბ ბერიძე

შპს "ქერვან ტურიზმი"

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 10

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძველი 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 12
5. შემოსავალი 15
6. სხვა ხარჯები, წმინდა 16
7. მარკეტინგის, მენეჯმენტის და წამახალისებელი ანაზღაურების ხარჯები 17
8. ძირითადი საშუალებები 17
9. გადახდილი ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის 18
10. სასაქონლო–მატერიალური მარაგი 18
11. სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებები 18
12. საგადასახადო აქტივი 20
13. ფული და ფულის ექვივალენტები 20
14. კაპიტალის განაწილებისთვის განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები 20
15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები 21
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 21
17. გაუთვალისწინებელი გარემოებები და ვალდებულებები 21
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 22
19. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეჯამება 22

ტელ: +995 32 2545 845
ფაქსი :+995 32 2188 188
www.bdo.ge

საქართველო, თბილისი 0179
ვერე ბიზნეს ცენტრი
თარხნიშვილის ქუჩა N2

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "ქერვან ტურიზმის" აქციონერებისა და მენეჯმენტისთვის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ

კვალიფიციური მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ქერვან ტურიზმის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფინანსური სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა ჩვენი ანგარიშის "კვალიფიციური მოსაზრების საფუძველში" აღწერილი შედეგებისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

კვალიფიციური მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავკვირვებივართ კომპანიის ძირითადი საშუალებების მოძრავი აქტივების ფიზიკურ დათვლას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავაკმაყოფილეთ ჩვენი მოთხოვნა ალტერნატიული საშუალებებით, ძირითადი საშუალებების მოძრავ აქტივებთან დაკავშირებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც მითითებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 326,480 (2018 წლის 31 დეკემბერი: 731,468) ლარის წმინდა საბალანსო ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები, რომლებიც მითითებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ანგარიშში ჯამური წმინდა საბალანსო ღირებულებით 12,199,412 ლარი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის (12,778,930 ლარი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის) არ გადაფასებულა, რაც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან გადახრას. აღნიშნულის შედეგად, ხელმძღვანელობას რომ მოეხდინა სასარგებლო გამოყენების ვადების გადაფასება, ჩვენ ვერ მოვახერხეთ დაგვედგინა აუცილებლად მიჩნეულ იქნებოდა თუ არა რაიმე სახის კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღინიშნებოდა ძირითადი საშუალებების გაუფასურება. კომპანიას არ შეუფასებია ზემოხსენებული აქტივების დაბურნებას/ანაზღაურებას დაქვემდებარებული თანხების ოდენობა, წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება ძირითადი საშუალებების ანაზღაურებად თანხებთან დაკავშირებით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც საერთო ჯამში შეადგენს 12,199,412 ლარს (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 12,778,930 ლარს) და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დადასტურების წერილები დებიტორებისგან და ალტერნატიული პროცედურების დახმარებით ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ან შეგვემოწმებინა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში საერთო თანხით 41,378 ლარი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე არ ყოფილა სხვა დამაკმაყოფილებელი აუდიტორული პროცედურები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით საკმარისი მტკიცებულებების მოპოვებისთვის. ამ მიზეზების გამო ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭიროდ შეიძლებოდა მიჩნეულ ყოფილიყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებები

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებასთან და ფინანსური ანგარიშგების ელემენტებთან მიმართებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დადასტურების წერილები კრედიტორებისგან და ალტერნატიული პროცედურების დახმარებით ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ან შეგვემოწმებინა სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში საერთო თანხით 55,266 ლარი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე არ ყოფილა სხვა დამაკმაყოფილებელი აუდიტორული პროცედურები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით საკმარისი მტკიცებულებების მოპოვებისთვის. ამ მიზეზების გამო ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭიროდ შეიძლებოდა მიჩნეულ ყოფილიყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებასთან და ფინანსური ანგარიშგების ელემენტებთან მიმართებაში.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

როგორც უფრო სრულად არის აღწერილი ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაში, 2020 წლის იანვარში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა COVID-19. კომპანიამ გამოაცხადა თავისი სასტუმროს (სასტუმრო "დივან სუითს ბათუმი") დროებით დახურვის შესახებ და თავისი ყველა თანამშრომელი გადაიყვანა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე 21 მარტიდან 4 ივლისის ჩათვლით. 2020 წლის 5 ივლისიდან კომპანიამ დროებით დაუთმო საქართველოს მთავრობას სასტურმოს სივრცე მოქალაქეთა კარანტინში განთავსებისთვის ახალი კორონა ვისურის - COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით. როგორც არის აღწერილი მე-2 შენიშვნაში, COVID-19-ის გავლენას და პოტენციურ მომხმარებელთა ქცევას პანდემიური ვითარების შედეგად შეუძლია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს საქმიანობის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ნაღდი ფულის მოძრაობაზე მომავალში. ვითარების გაურკვევლობის გათვალისწინებით, ამ დროისთვის შეუძლებელია შეფასდეს ბიზნესის ნებისმიერი შეფერხების განგრძნობითობა და აღნიშნულთან დაკავშირებული ფინანსური შედეგები. ჩვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეცვლილა.
ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და ფინანსური ანგარიშგების ჩვენი აუდიტისთვის რელევანტური საქართველოში არსებული ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნებისა და IESBA კოდექსის შესაბამისად.
ჩვენ გვჯერა, რომ აუდიტორული მტკიცებულება, მოპოვებული ჩვენ მიერ, არის საკმარისი და მართებული/შესაბამისი ჩვენი კვალიფიციური მოსაზრებისათვის საფუძველის უზრუნველსაყოფად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ობიექტურად წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს–ის) შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.
ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განსაზღვრული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.
ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი გარანტია, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც

ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი გარანტია მაღალი ხარისხის გარანტიას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.
უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას, როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.
როგორც აუდიტის ნაწილი, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებას, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულებელყოფას.
- ვიქმნით წარმოდგენას აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის სისტემის შესახებ, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე ჩვენს მიერ მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, აგრეთვე იმას თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჩვენ გვაქვს მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან კომუნიკაცია სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ მასშტაბსა და დროსთან, ასევე აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებთან დაკავშირებით, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, რომელსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

აუდიტზე პასუხისმგებელი პარტნიორი, რომლის შედეგსაც წარმოადგენს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის

დავით დარსაველიძე (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-735032) [ხელმოწერილია]

შპს "ბიდიო"–სთვის და მისი სახელით
თბილისი, საქართველო
28 ივლისი, 2020 წ.

შპს "ქერვან ტურიზმი"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	5	3,039,036	3,515,337
ნედლეული და გამოყენებული მასალები		(206,132)	(297,912)
ცვლილებები მარაგებში		8,316	(1,960)
პერსონალის ხარჯი		(1,268,368)	(1,149,164)
ცვეთა და ამორტიზაცია		(707,316)	(1,017,923)
სხვა ხარჯები, წმინდა	6	(1,173,106)	(1,074,024)
მარკეტინგის, მენეჯმენტის და წამახალისებელი ანაზღაურების ხარჯები	7	(191,746)	(259,676)
საოპერაციო ზარალი		**(499,316)**	**(285,322)**
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი, წმინდა		(16,341)	(40,966)
ფინანსური შემოსავალი		16,117	20,990
ზარალი საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე		**(499,540)**	**(305,298)**
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		-	-
სრული ზარალი		**(499,540)**	**(305,298)**

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი: ზ. ბერიძე [ხელმოწერილია]

ფინანსური კონტროლიორი: ვ. ბეგალოვა [ხელმოწერილია]

შპს "ქერვან ტურიზმი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	12,199,412	12,778,930
არამატერიალური აქტივები		4,053	20,009
გადახდილი ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	9	92,441	11,298,346
		12,295,906	**24,097,285**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	79,359	71,043
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	11	227,860	239,008
საგადასახადო აქტივი	12	1,910,748	1,545,382
ფული და ფულის ექვივალენტები	13	772,848	221,023
განკუთვნილი კაპიტალის განაწილებისთვის განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები	14	11,840,677	-
		14,831,492	**2,076,456**
სულ აქტივები		**27,127,398**	**26,173,741**
მესაკუთრის კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრის კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		35,165,059	33,771,037
აკუმულირებული ზარალი		(8,418,120)	(7,918,580)
სულ მესაკუთრის კაპიტალი		**26,746,939**	**25,852,457**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	15	380,459	321,284
		380,459	**321,284**
სულ მესაკუთრის კაპიტალი და ვალდებულებები		**27,127,398**	**26,173,741**

10-30 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
31.12.2017	**29,495,891**	**(7,585,987)**	**21,909,904**
ცვლილება საბუღალტრო პოლიტიკაში - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9 ფინანსური ინსტრუმენტები (შენიშვნა 4)	-	(27,295)	**(27,295)**
01.01.2018 განახლებული სახით	**29,495,891**	**(7,613,282)**	**21,882,609**
შენატანი კაპიტალში	4,815,146	-	**4,815,146**
წლის სრული ზარალი	-	(305,298)	**(305,298)**
განაწილება კაპიტალიდან	(540,000)	-	**(540,000)**
31.12.2018	**33,771,037**	**(7,918,580)**	**25,852,457**
შენატანი კაპიტალში	1,418,022	-	**1,418,022**
წლის სრული ზარალი	-	(499,540)	**(499,540)**
განაწილება კაპიტალიდან	(24,000)	-	**(24,000)**
31.12.2019	**35,165,059**	**(8,418,120)**	**26,746,939**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		**(499,540)**	**(305,298)**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		707,316	1,017,923
გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგი		16,341	40,966
ფინანსური შემოსავალი		(16,117)	(20,990)
სხვა სარეზერვო ხარჯი		59,204	-
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	6	(13,517)	18,301
უიმედო ვალის ხარჯი	6	64,020	100,781
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე საოპერაციო საქმიანობიდან ფულის შემოდინება		**317,707**	**851,683**
მარაგების შემცირება / (ზრდა)		(8,316)	1,960
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ზრდა		(40,310)	(115,149)
საგადასახადო აქტივების შემცირება / (ზრდა)		398,155	(844,663)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ზრდა / (შემცირება)		(6,343)	108,899
წმინდა ნაღდი ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		**660,893**	**2,730**
საინვესტიციო საქმიანობა			
მიღებული პროცენტი		16,117	20,990
ძირითადი საშუალებების შეძენა		(110,897)	(76,594)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(946)	-
კაპიტალის განაწილებისთვის განკუთვნილი აქტივების შეძენა		(1,305,852)	-
გადახდილი ავანსები		(92,441)	(4,859,512)
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების გადინება, წმინდა		**(1,494,019)**	**(4,915,116)**
ფინანსური საქმიანობები			
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში		1,394,022	4,275,146
ფულადი ნაკადების შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან, წმინდა		**1,394,022**	**4,275,146**
ფული და ფულის ექვივალენტის ზრდა/(შემცირება), წმინდა		**560,896**	**(637,240)**
ფული და ფულის ექვივალენტი წლის დასაწყისში	13	221,023	897,553
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		**(9,071)**	**(39,290)**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**13**	**772,848**	**221,023**

შპს "ქერვან ტურიზმი"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ქერვან ტურიზმი" (445430971) – ფუნქციონირებს "სასტუმრო დივან სუითს ბათუმი"–ს (“Divan Suites Batumi Hotel”) სახელით (შემდგომში წოდებული, როგორც - „სასტუმრო“) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან ახლოს, აჭარის რეგიონში. სასტუმრო მდებარეობს ქალაქის ცენტრში. სასტუმრო სთავაზობს თავის კლიენტებს განთავსებას მდიდრულ სასტუმრო ნომრებში. სასტუმრომ საქმიანობა დაიწყო 2014 წლის მაისში.

კომპანიის მფლობელია S0130700, რზა თალიბოვი, აზერბაიჯანი. სს „დივან ტურიზმ ისლეთმელერი“ (DIVAN TURIZIM ISLETMELERI A.S.) წარმოადგენს შპს "ქერვან ტურიზმი"–სთვის მომსახურებისა და ბრენდის მიმწოდებელს. მომსახურების მიმწოდებელი პასუხისმგებელია ზედამხედველობაზე, სასტუმროს საქმიანობის ხელმძღვანელობასა და კონტროლზე სასტუმროს ბრენდის ქვეშ. სს „დივან ტურიზმ ისლეთმელერი“–სა და შპს "ქერვან ტურიზმი"–ს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეებს შორის თანამშრომლობის პირობებსა და ვალდებულებებს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, ჟორდანია/ზ. გამსახურდიას ქ. N8/15

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასსს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანია ჩანაწერებს აწარმოებს და აღრიცხავს ქართულ ლარში და ფინანსური ანგარიშგებებიც მომზადებულია ქართულ ლარში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ ბუღალტრულ შეფასებებს. ის მენეჯმენტისგან აგრეთვე მოითხოვს მსჯელობის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გატარებისას. სფეროები, რომლებშიც მნიშვნელოვანი მსჯელობები და შეფასებები გაკეთდა ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას და მათი ეფექტი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. სტუმართმასპინძლობის მომსახურებები წარმოადგენენ კომპანიის შემოსავლისა და საოპერაციო ნაღდი ფულის მოძრაობის ძირითად წყაროს.

როგორც ეს არის დეტალურად აღწერილი მე-18 შენიშვნაში, 2019 წლის ბოლოს ახალი კორონავირუსი (COVID-19) გავრცელდა ჩინეთში. თუმცა დაავადებების შემთხვევების შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ეცნობა 2019 წლის 31 დეკემბერს, კორონავირუსის, როგორც ჯანდაცვის სფეროში გლობალური საგანგებო მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 იანვრამდე არ განცხადებულა, რადგან კორონავირუსის მნიშვნელოვან განვითარებასა და გავრცელებას 2020 წლის იანვრამდე ადგილი არ ჰქონია.

მოცემულ ეტაპზე რთულია შეფასდეს ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგები და საშიშროება, მაგრამ სასტუმროს მენეჯმენტი ელოდება, რომ საერთო ჯამში ამ მოვლენებს მომავალში ექნება არსებითად უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე

საქართველოს მთავრობამ მოახდინა რამდენიმე პროექტის ინიცირება, რათა ინდუსტრიას სირთულეების გადალახვაში დახმარებოდა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა არ არის

ეჭვის ქვეშ, ვინაიდან კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს არსებითი გადასახდელი ვალდებულებები, თუმცა პანდემიის სრული ეფექტის შეფასება ნაადრევია და უფრო მეტ დროს და დაკვირვებას მოითხოვს.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ახალი ან რედაქტირებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან

ახალმა სტანდარტებმა, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიაზე და რომლებიც გამოყენებულ იქნება წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკაში გამოიწვია გარკვეული ცვლილებები, კერძოდ:

- *ფასს 16* – იჯარა (ფასს 16);

კომპანიამ მიიღო ფასს 16 გარდამავალ ეტაპზე 2019 წლის 1 იანვარს. სტანდარტების გამოყენება არ ახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან კომპანიის იჯარის ყველა ხელშეკრულება ფორმდება 12 თვიანი ან უფრო ნაკლები ხანგრძლივობით. ასეთი ტიპის იჯარის ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის კომპანია იყენებს აღიარებისგან გათავისუფლებას.

მოსალოდნელია, რომ სხვა ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, რომლებიც პირველად გამოყენებული იქნება შემდგომ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში, არ იქონიებს გავლენას კომპანიაზე, იმდენად რამდენადაც ისინი ან არ არიან კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული (რელევანტური) ან საჭიროებენ ისეთ ბუღალტრულ აღრიცხვას, რომელიც შეესაბამება კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკებს.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები, რომლებიც ჯერ არ შესულან ძალაში

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) გამოცემული აქვს რიგი სტანდარტები, აღნიშნული სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაში შედის მომავალ საანგარიშო პერიოდებში, რომლებთან დაკავშირებითაც კომპანიამ გადაწყვიტა არ გამოეყენებინა ვადამდე. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი, რომლებიც მოქმედია პერიოდისთვის დაწყებული 2020 წლის 1 იანვრიდან:

- ბასს (IAS) 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს (IAS) 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - მასალების განმარტება)
- ფასს (IFRS) 3 საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება)
- ფინანსური ანგარიშგების შესწორებული / გადახედილი კონცეპტუალური ჩარჩო

ამ ეტაპზე კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის გავლენის შესაძლებლობას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა

კომპანია არ ელოდება, რომ რაიმე სახის ნებისმიერ სხვა სტანდარტს, გამოცემულს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, თუმცა ჯერ ძალაში არ შესულს, ექნება არსებითი, მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და დაშვებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შეფასებები და დაშვებები

ანარიცხები სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურებისთვის

კომპანია აფასებს მომავალი პერსპექტივის საფუძველზე, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს სასესხო ინსტრუმენტებისთვის, რომელიც იზომება ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის საშუალებით და სესხის ვალდებულებებით და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებით გამოწვეული ზემოქმედებისათვის, სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების გაუფასურების წმინდა ზარალს თითოეული საანგარიშო თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება რიგი შესაძლო შედეგების შეფასებით,

(ii) ფულის დროით ღირებულებას და (iii) ყველა დასაბუთებულ და დადასტურებად ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ზედმეტი ხარჯისა და ძალისხმევის გარეშე წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობების და სამომავლო პირობების პროგნოზების შესახებ.
დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვები და დაკავშირებული მხარეების სესხები აღიარებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საპროგნოზო მოდელის საფუძველზე. რეზერვის თანხის ოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია ემყარება იმას, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების მომენტიდან.
მათთვის, სადაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების მომენტიდან, აღიარებულია თორმეტი თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალი. მათთვის, რომელთა მიხედვითაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, აღიარებულია მთელი პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 11. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებებისგან, რომლებიც აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების/აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება არის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტი საკითხი, რომელიც ეფუძნება ანალოგიურ აქტივებთან მუშაობის გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ/სავარაუდო გამოყენებას, მოსალოდნელ ტექნიკურ დაძველებას/ცვეთას, ფიზიკურ ცვეთას და ამორტიზაციას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ფუნქციონირებს აქტივი. ნებისმიერ ამ პირობაში ცვლილების შეტანამ ან შეფასებების ცვლილებამ შესაძლებელია მიგვიყვანოს ამორტიზაციის სამომავლო განაკვეთების კორექტირებამდე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ზოგადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

კომპანიას არ აქვს რისკის მართვის წერილობითი ფორმით შედგენილი პოლიტიკა. თუმცა მაღალი დონის მენეჯმენტი ინარჩუნებს რისკის კონტროლს და მიზნად ისახავს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც დასწევს რისკებს, კომპანიის კონკურენტუნარიანობის დაცვისა და რისკებიდან გამომდინარე უარყოფითი გავლენის მიმართ მოქნილობის გამომუშავების მიზნით.
კომპანიას ბიზნეს საქმიანობა აყენებს სხვადასხვა ფინანსური რისკების ქვეშ, რაც მოიცავს ვალდებულებისა და საკუთარი კაპიტალის საბაზრო ფასების ცვლილებებს და ცვლილებებს უცხოური ვალუტის გაცვლის კურსებში. ზოგადად კომპანიის რისკის მართვის პროგრამა მიმართულია ფინანსური ბაზრების არაპროგნოზირებადობაზე და ისწრაფვის შეამციროს პოტენციური არასასურველი გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე.
კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
  - *საპროცენტო განაკვეთის რისკი;*
  - *უცხოური ვალუტის რისკი;*

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და პროცესები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლისგანაც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის რისკი, არის შემდეგი:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	772,848	221,023
სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებები	136,733	166,482
	909,581	**387,505**

ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები	126,822	148,391
	126,822	**148,391**

რეალური ღირებულებით გაზომვა

რიგი აქტივებისა და ვალდებულებების, რომლებიც ჩართულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში საჭიროებს რეალური ღირებულების გაზომვას/შეფასებას და/ან გამოვლენას.

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი საბაზრო ამოსავალი მონაცემები. ამოსავალი მონაცემები, გამოყენებული რეალური ღირებულების მაჩვენებლების განსაზღვრისას, ჯგუფდება რამდენიმე დონეზე იმაზე დაყრდნობით, თუ რამდენად დაკვირვებას დაქვემდებარებულია შეფასების მეთოდიკაში გამოყენებული აღნიშნული მონაცემები ("რეალური ღირებულების იერარქია").

რეალური ღირებულების იერარქიას აქვს შემდეგი დონეები:

- კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი) აქტიური ბაზრებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის (დონე 1);
- ამოსავალი მონაცემები, რომლებშიც მოცემულია აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (ანუ როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ანუ წარმოებული ფასებისგან) (დონე 2); და
- ამოსავალი მონაცემები იმ აქტივის ან ვალდებულებისთვის, რომელიც არ არის დაფუძნებული დაკვირვებად (ემპირიულ) საბაზრო მონაცემებზე (დონე 3).

დონე რეალური ღირებულების იექრარქიაში, რომლის ფარგლებშიც ხდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების კლასიფიცირება, განისაზღვრება ყველაზე დაბალი ამოსავალი მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს რეალური ღირებულების შეფასებისას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება ამ სამი დონიდან მხოლოდ ერთში კლასიფიცირდება მთლიანად.

კომპანიას არ აქვს რეალური ღირებულებით შესაფასებელი ფინანსური აქტივები ან ვალდეულებები, შესაბამისად ისინი არ არიან წარმოდგენილნი ფასს 7-ის შესაბამისად რეალური ღირებულების შეფასების იერარქიაში.

სალაროში ნაღდი ფულის რეალური ღირებულება შეიძლება განისაზღვროს შეფასების პირველი დონით, ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებზე მისი ექვივალენტების რეალური ღირებულება - შეფასების მეორე დონით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - შეფასების მესამე დონით.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი სამართლიანი / რეალური ღირებულებისა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია სავაჭრო და სხვა დებიტორულ ვალდებულებებთან.

საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როცა კონტრაგენტები აწყდებიან ფინანსურ სირთულეებს და ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს კომპანიისათვის ფულადი სახსრების დაბრუნების თვალსაზრისით. კომპანიას შესაძლოა ჰქონდეს სირთულეები დებიტორული დავალიანებების შეგროვების კუთხით და შედეგად, წააწყდეს თავისი საქმიანობის მართვისათვის არასაკმარისი რესურსების პრობლემას.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ყოველი ახალი კლიენტის გაანალიზება ხდება ინდივიდუალურად გადამხდელუნარიანობის კუთხით მანამ, სანამ შეთავაზებული იქნება გადახდისა და მიწოდების ვადები და სტანდარტული პირობები. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, ყოველთვიურად სავაჭრო დებიტორული ვალდებულებების ხანდაზმულობის ანალიზის საფუძველზე. კომპანიის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის დეტალური ანალიზი მოცემულია შენიშვნაში 11. სხვა ფინანსური აქტივები კომპანიისთვის მიეკუთვნებიან არა ვადაგადაცილებულ და არა გაუფასურებულ კატეგორიას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა მართვისაგან. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია აქტივები და ვალდებულებები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დარჩენილი დაფარვის საკონტრაქტო ვადების მიხედვით, თუ არ არის მტკიცებულება იმისა, რომ აღნიშნული აქტივებიდან რომელიმე აქტივი გაუფასურებულია და დაფარული იქნება მათი საკონტრაქტო ვადების გასვლის შემდეგ, ამ შემთხვევაში გამოიყენება ანგარიშგების მოსალოდნელი თარიღი.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა ფინანსურ ვალდებულებას აქვს ვალდებულების შესრულების 3 თვეზე ნაკლები ვადა.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშრებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან ფინანსურ ინსტრუმენტებთან, ცვალებადი განაკვეთის გამო. 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს პროცენტიანი აქტივები და ვალდებულებები.

- **უცხოური ვალუტის რისკი**

სავალუტო რისკი განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი, რაც უკავშირდება უცხოური გაცვლთი კურსების რყევას. კომპანია განიცდის კურსის რყევის გავლენას, რაც მოქმედებს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე. კომპანია აღნიშნული რისკის მონიტორინგს ახდენს უცხოური ვალუტის პოზიციის ანალიზის საფუძველზე.

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკის მიმართ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	GEL	USD	EUR	TRY	31.12.2019
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებები	122,033	14,532	-	168	**136,733**
ფული და ფულის ექვივალენტები	716,232	52,173	138	4,305	**772,848**
	838,265	**66,705**	**138**	**4,473**	**909,581**
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	91,063	31,756	-	4003	**126,822**
	91,063	**31,756**	**-**	**4003**	**126,822**
ბალანსის ღია პოზიცია	**747,202**	**34,949**	**138**	**470**	

	GEL	USD	EUR	TRY	31.12.2018
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებები	146,425	17,529	4	2,524	**166,482**
ფული და ფულის ექვივალენტები	78,389	132,757	9,765	112	**221,023**
	224,814	**150,286**	**9,769**	**2,636**	**387,505**
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	83,152	49,608	3,193	12,438	**148,391**
	83,152	**49,608**	**3,193**	**12,438**	**148,391**
ბალანსის ღია პოზიცია	**141,662**	**100,678**	**6,576**	**(9,802)**	

სავალუტო რისკის მგრძობიაროზა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის/ევროს/ლირას ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯენტის მიერ. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ ცნობილი უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში. აქტივების ღირებულების საფუძველზე წმინდა მოგებაზე გავლენა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

2019	USD გავლენა		EUR გავლენა		TRY გავლენა	
	GEL/USD 20%	GEL/USD -20%	GEL/EUR 20%	GEL/EUR -20%	GEL/SGD 20%	GEL/SGD -20%
მოგება/(ზარალი)	6,990	(6,990)	28	(28)	94	(94)

2018	USD გავლენა		EUR გავლენა		TRY გავლენა	
	GEL/USD 20%	GEL/USD -20%	GEL/EUR 20%	GEL/EUR -20%	GEL/GPB 20%	GEL/GPB -20%
მოგება/(ზარალი)	20,136	(20,136)	1,315	(1,315)	(1,960)	1960

5. შემოსავალი

კომპანია შემოსავლების გენერირებას ახდენს საკუთარ ობიექტებზე შემდეგი სახის პროდუქციისა და მომსახურების მიწოდებით: ოთახები, საკვები და სასმელი და საკონფერენციო, სპა, სამრეცხაო და სხვა. შემოსავალს თუ დავშლით შემოსავლის ტიპის მიხედვით მივიღებთ შემდეგ სურათს:

	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი ოთახის (განთავსების) მომსახურებიდან	2,244,646	2,641,053
შემოსავალი კვებიდან	459,309	612,656
შემოსავალი სასმელიდან	61,983	87,441
შემოსავალი სპა–ს მომსახურებიდან	69,681	86,311

შემოსავალი სამრეცხაო მომსახურებიდან	10,217	13,375
სხვა შემოსავალი	193,200	74,501
	3,039,036	**3,515,337**

კონტრაქტი და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები

კომპანია თავის კლიენტებს აწვდის მრავალრიცხოვან პროდუქტსა და მომსახურებას. ხშირად სახეზეა დროში სხვაობა კლიენტის მიერ ნაღდი ფულის გადახდასა და თითოეული დაკავშირებული შესასრულებელი ვალდებულებისათვის შემოსავლის აღიარებას შორის. კომპანიას გააჩნია შემდეგი ძირითადი ტიპის ვალდებულებები, დაკავშირებული კლიენტებთან გაფორმებულ კონტრაქტებთან: კლიენტთა დეპოზიტები და სხვა მომავალი პერიოდის (ანუ გამოუმუშავებელი) შემოსავალი, რომელის ფარგლებშიც კომპანიას კლიენტისათვის აქვს მისაწოდებელი პროდუქტცია და სერვისები.

კლიენტთა დეპოზიტები და სხვა მომავალი პერიოდის შემოსავალი წარმოადგენენ ფულად დეპოზიტს, რომელსაც კლიენტი აკეთებს მომავალში კომპანიისაგან მისაღები მომსახურების სანაცვლოდ. მოსალოდნელია, რომ ყველა ასეთი დეპოზიტისა და სხვა გამოუმუშავებელი შემოსავლის აღიარება მოხდება შემოსავლის სახით ან დაუბრუნდება კლიენტს ერთი წლის განმავლობაში დეპოზიტის აღრიცხვა-რეგისტრაციის თარიღიდან.

საკონტრაქტო ვალდებულებები

ქვემოთ მოცემული ცხრილში შეჯამებულია სავალდებულებო ქმედებები, რომლებიც უკავშირდება კლიენტებთან გაფორმებულ კონტრაქტებს:

	2019	**2018**
1 იანვარი	**172,893**	**76,413**
სახელშეკრულებო ვალდებულებებში ჩართული თანხმები, რომლებიც აღიარებული იქნა როგორც შემოსავალი აღნიშნულ პერიოდში	21,540	96,480
31 დეკემბერი	**194,433**	**172,893**

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო (საკონტრაქტო) აქტივები. საკონტრაქტო ვალდებულებები ჩართულია "სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება" -ში ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში.

6. სხვა ხარჯები, წმინდა

სხვა წმინდა ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სხვა ხარჯები	**2019**	**2018**
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	(265,132)	(120,872)
კომუნალურები	(211,543)	(208,723)
გაყიდვები და მარკეტინგი	(190,018)	(169,435)
საგადასახადო ხარჯები	(105,830)	(124,931)
წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები	(70,683)	(78,181)
უიმედო (საეჭვო) ვალი	(64,020)	(100,781)
ბანკის მომსახურების საფასური	(39,937)	(41,869)
სამრეცხაო და ქიმწმენდა	(37,224)	(56,610)
დაზღვევა	(37,218)	(32,760)
კონსულტაცია	(26,820)	(69,617)
ქირა	(15,518)	(18,417)
საწვავი	(8,896)	-
სხვა	(126,064)	(33,527)

საეჭვო სესხის გაუფასურების ხარჯი, წმინდა	-	(18,301)
	(1,198,903)	**(1,074,024)**

სხვა შემოსავალი

საეჭვო ვალის გაუფასურების შეცვლა, წმინდა	13,517	-
სხვა	12,280	-
	(1,173,106)	**(1,074,024)**

7. მარკეტინგის, მენეჯმენტის და წამახალისებელი ანაზღაურების ხარჯები

შპს "ქერვან ტურიზმსა" და სს "დივან ტურიზმ ისლეთმელერს" შორის გაფორმებული ხელმძღვანელობის ხელშეკრულების თანახმად, შპს "ქერვან ტურიზმი" უფლებამოსილია შემდეგ შენატანებზე (ყოველთვიურად გადასახდელი) შესაბამისად:

1) ხელმძღვანელობაზე გადასახადი შეადგენს საპოერაციო პერიოდში მიღებული ოველთვიური მთლიანი შემოსავლის 2.8%–ს, ხოლო მარკეტინგის – 1.5%–ს.
   ხელმძღვანელობაზე გადასახადის განაკვეთი არ იცვლება სასტუმროს საოპერაციო საქმიანობის დაწყებიდან პირველი სამი წლის განმავლობაში და შემდგომში განაკვეთი იზრდება მთლიანი შემოსავლის 2.8%–მდე.
2) წამახალისებელი ანაზღაურება შეადგენს მთლიანი საოპერაციო მოგების 11% ყოველთვიურად საოპერაციო დროის განმავლობაში.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მარკეტინგის, ხელმძღვანელობის/მენეჯმენტისა და წამახალისებელი ანაზრაურების ჯამური ხარჯი შეადგენს 191,746 ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: 259,676 ლარი).

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	ავეჯი და მოძრავი ქონება	მანქანები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
31.12.2017	**2,348,484**	**10,471,785**	**3,617,433**	**226,037**	**141,217**	**299,100**	**17,104,056**
შემოსვლა	-	-	3,210	32,721	32,900	7,766	**76,597**
31.12.2018	**2,348,484**	**10,471,785**	**3,620,643**	**258,758**	**174,117**	**306,866**	**17,180,653**
შემოსვლა	-	-	58,567	38,992	-	18,904	**116,463**
გასვლა	-	-	-	-	(8,600)	-	**(8,600)**
31.12.2019	**2,348,484**	**10,471,785**	**3,679,210**	**297,750**	**165,517**	**325,770**	**17,288,516**
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2017	**-**	**(598,662)**	**(2,315,939)**	**(192,055)**	**(63,719)**	**(241,440)**	**(3,411,814)**
ცვეთა	-	(174,145)	(699,242)	(66,161)	(20,455)	(29,905)	**(989,908)**
31.12.2018	**-**	**(772,807)**	**(3,015,181)**	**(258,216)**	**(84,174)**	**(271,345)**	**(4,401,722)**
ცვეთა	-	(174,530)	(430,404)	(39,534)	(24,909)	(21,037)	**(690,414)**
გასვლა	-	-	-	-	3,033	-	**3,033**
31.12.2019	**-**	**(947,337)**	**(3,445,585)**	**(297,750)**	**(106,050)**	**(292,382)**	**(5,089,103)**
წმინდა საბალანსო							

ღირებულება							
31.12.2018	**2,348,484**	**9,698,978**	**605,462**	**542**	**89,943**	**35,521**	**12,778,930**
31.12.2019	**2,348,484**	**9,524,448**	**233,625**	**-**	**59,467**	**33,388**	**12,199,412**

9. გადახდილი ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები შედგება ავანსის შეთანხმებული თანხისგან, რომელიც წინასწარ გადაეცა შპს "მაქრო"–ს. კომპანიამ ასევე აღიარა წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული დღგ აქტივი. წინასწარი გადახდის ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 11,298,346 ლარს. 2019 წელს კომპანიამ მიიღო გრძელვადიანი აქტივები საერთო თანხით 11,840,677 ლარი, როგორც არის მითითებული შენიშვნა 14-ში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასტუმრომ გადაიხადა ავანსები სახანძრო კავშირებისთვის, რომლის საერთო თანხა შეადგენს 92,441 ლარს.

10. სასაქონლო–მატერიალური მარაგი

სასაქონლო–მატერიალური მარაგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	**31.12.2018**
საკვები და სასმელი	36,516	29,301
საკანცელარიო ნივთები	36,047	38,999
სხვა	6,796	2,743
	79,359	**71,043**

11. სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	**31.12.2018**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	180,486	223,752
სავაჭრო ვალდებულებების ანარიცხები	(43,753)	(57,270)
	136,733	**166,482**
არაფინანსური ვალდებულებები		
წინასწარი გადახდები	91,127	72,526
	91,127	**72,526**
სულ	**227,860**	**239,008**

სავაჭრო (ვალდებულებები) დებიტორული დავალიანებები ძირითადად შედგება დებიტროული დავალიანებებისგან ოთახების მომსახურების, რესტორანის - კვებისა და სასმელების და სხვა მომსახურებების გაწევისათვის.

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით საკრედიტო რისკის კონცენტრაცია არ არსებობს, ვინაიდან კომპანიას ჰყავს ბევრი კლიენტი. კომპანია თვლის, რომ თავის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს

მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი არ ახასიათებთ, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია ინარჩუნებს საეჭვო დებიტორული დავალიანებების რეზერვს და რეგულარულად ახდენს ნაშთის (ბალანსის) შეფასებას. 2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ს, რომელიც იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის. კომპანია მრავალმნიშვნელოვნად აანალიზებს თითოეული ანგარიშის გადახდევინებადობას, რომლეზედაც ნაშთის ოდენობა აღემატება მითითებულ თანხას, ანგარიშის ხანდაზმულობაზე, კლიენტის ფინანსური მდგომარეობაზე, თანხის მიღების/შეგროვების ისტორიაზე და ნებისმიერ სხვა ცნობილ ინფორმაციაზე დაყრდნობით და კომპანია ქმნის იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვს, რომელიც განსაზღვრულია, როგორც საეჭვო. კომპანია ასევე ახდენს რეგიონული და გლობალური ეკონომიკური პირობებისა და პროგნოზების მონიტორინგს და ითვალისწინებს საპროგნოზო ინფორმაციას აღრიცხული რეზერვების ადეკვატურობის შეფასებისას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის სასარგებლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის რეზერვი გამოიყურება შემდეგნაირად:

	მიმდინარე	ვადაგადაცილებულია 30 დღეზე ნაკლები პერიოდით	ვადაგადაცილებულია 31 დღეზე მეტი პერიოდით	ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტი პერიოდით	ვადაგადაცილებულია 180 დღეზე მეტი პერიოდით	ვადაგადაცილებულია 365 დღეზე მეტი პერიოდით	სულ
მოსალოდნელი ზარალის მაჩვენებელი	1%	5%	10%	30%	50%	100%	
მთლიანი საბალანსო ღირებულება	108,396	5,912	14,846	8,435	9,081	33,816	180,486
ზარალის ანარიცხი	**1,084**	**296**	**1,485**	**2,531**	**4,541**	**33,816**	**43,753**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის სასარგებლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის რეზერვი გამოიყურება შემდეგნაირად:

	მიმდინარე	ვადაგადაცილებულია 30 დღეზე ნაკლები პერიოდით	ვადაგადაცილებულია 31 დღეზე მეტი პერიოდით	ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტი პერიოდით	ვადაგადაცილებულია 180 დღეზე მეტი პერიოდით	ვადაგადაცილებულია 365 დღეზე მეტი პერიოდით	სულ
მოსალოდნელი ზარალის მაჩვენებელი	1%	5%	10%	30%	50%	100%	
მთლიანი საბალანსო ღირებულება	90,327	14,289	21,454	13,659	12,301	43,259	223,752
ზარალის ანარიცხი	**903**	**714**	**2,145**	**4,098**	**6,151**	**43,259**	**57,270**

13. სავაჭრო და სხვა დებიტორული ვალდებულებები (გაგრძელება)

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა დებიტორული დავალიანება დაფარულ უნდა იქნეს 365 დღის განმავლობაში. აღნიშნული დებიტორული დავალიანებებიდან არცერთის მიმართ არ გაზრდილა საკრედიტო რისკი მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან და შესაბამისად, აღიარებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 12 თვისთვის და არ არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გრძელვადიანი დებიტორული დავალიანების ნაშთები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო დებიტორულმა დავალიანებებმა 33,816 ლარის (2018: 43,259 ლარი) ოდენობით განიცადა დებიტორული დავალიანებების სრული ღირებულების ტოლი სარგებლობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	2019	2018
1 იანვარს ბასს 39-ის შესაბამისად	**(57,270)**	**(11,674)**
გადაანგარიშებული გაუნაწილებელი მოგების საწყისი ბალანსის მეშვეობით	-	(27,295)
სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვის საწყისი ბალანსი	**(57,270)**	**(38,969)**
შემცირება / (გაზრდა) წლის განმავლობაში	13,517	(18,301)
31 დეკემბრისთვის	**(43,753)**	**(57,270)**

12. საგადასახადო აქტივი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დღგ აქტივი ძირითადად შედგება გრძელვადიანი აქტივებისგან, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალის განაწილებისთვის, რომლებთან მიმართებითაც დღგ-ს მიხედვით საავანსო გადახდა აღიარებულ იქნა 2018 წლის 31 დეკემბრისთვის.

13. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფული ბანკში ლარში	699,838	48,457
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	56,615	142,633
ნაღდი ფული	16,395	29,933
	772,848	**221,023**

კომპანიისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს *არავადაგადაცილებული* და *არაგაუფასურებული* კატეგორიის აქტივებს.

14. კაპიტალის განაწილებისთვის განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები

2019 წელს კომპანიამ შეიძინა გრძელვადიანი აქტივები, განკუთვნილი კაპიტალის განაწილებისთვის, მითითებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საერთო თანხით 11,840,677 ლარი. აქტივები მოიცავენ მიწას, შენობას და სხვა ქონებას და აღჭურვილობას.

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებები	126,822	148,391
	126,822	**148,391**
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	194,433	172,893
სხვა დებულება	59,204	-
	253,637	**172,893**
სულ ვალდებულებები	**380,459**	**321,284**

სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციბი დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24- ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

	2019	2019
მენეჯმენტის ძირითადი სარგებელი	345,812	256,339

17. გაუთვალისწინებელი გარემოებები და ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული ინტერპრეტაციები და შესწორებები. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელის ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან, გარიგებები/ტრანზაქციები შესაძლოა გასაჩივრებული იქნეს საგადასახადო ორგანოების მიერ და შედეგად კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. საგადასახადო წლები საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებისთვის რჩება ღიად სამი წლის განმავლობაში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს გრძელვადიან აქტივებს, განკუთვნილს კაპიტალის განაწილებისთვის. როცა კომპანია გაანაწილებს აქტივს კაპიტალიდან, მას დაეკისრება დღგ, რომელიც გამოითვლება აქტივის საბაზრო ღირებულების საფუძველზე. 2020 წელს აქტივი განაწილებულ იქნა კაპიტალიდან. დამატებითი ინფორმაციისთვის იცილეთ შენიშვნა 18.

მმართველობითი ანგარიში - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად (მუხლი 7) კომპანია ვალდებულია მოამზადოს მმართველობითი ანგარიში და წარადგინოს იგი სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა. კომპანიამ ეს ვალდებულება არ შეასრულა ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღეს.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ახალი კორონავირუსი (COVID-19)

2019 წლის ბოლოს ახალი კორონავირუსი (COVID-19) გავრცელდა ჩინეთში. თუმცა დაავადებების შემთხვევების შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ეცნობა 2019 წლის 31 დეკემბერს, კორონავირუსის, როგორც ჯანდაცვის სფეროში გლობალური საგანგებო მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 იანვრამდე არ განცხადებულა, რადგან კორონავირუსის მნიშვნელოვან განვითარებასა და გავრცელებას 2020 წლის იანვრამდე ადგილი არ ჰქონია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა კორონავირუსის სწრაფად გავრცელებული ეპიდემია პანდემიად 2020 წლის 11 მარტს. ფრენები მთელ მსოფლიოში შეიზღუდა. საქართველოში 2020 წლის 31 მარტიდან ამოქმედდა საკარანტინო რეჟიმი. აღნიშნულის შედეგად საქართველოს შიდა ტერიტორიაზე ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს შორის გადაადგილება მნიშვნელოვნად შეიზღუდა და საქართველოს მიმართულებით გაუქმდა ავიაკომპანიის ფრენები ქვეყნების უმეტესობიდან.

კომპანიამ გამოაცხადა თავისი სასტუმროს დროებით დახურვის შესახებ და ყველა თავისი თანამშრომელი გადაუყვანა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე 21 მარტიდან 4 ივლისის ჩათვლით. 2020 წლის 5 ივლისიდან კომპანიამ დროებით დაუთმო საქართველოს მთავრობას სასტუმროს სივრცე მოქალაქეთა კარანტინში განთავსებისთვის ახალი კორონა ვისურის - COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით. აღნიშნულის შედეგად, სასტუმრომ გარანტირებულად მიიღო ნომრების მაქსიმალური დატვირთვა და შემოსავალი სახელმწიფოსგან მომდევნო თვისთვის. ვინაიდან კარანტინის პერიოდში, სასტუმრო იქნება სრულად დატვირთული და შესაბამისად, სასტუმო შეინარჩუნებს შემოსავლის სტაბილურ წყაროს, მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია დართავს ნებას საქართველოს მთავრობას გამოიყენოს სასტუმროს სივრცე მოქალაქეთა კარანტინში განთავსებისთვის შემდეგ თვეებშიც, აუცილებლობის შემთხვევაში.

საქართველოს მთავრობამ მოახდინა რამდენიმე პროექტის ინიცირება, რათა დახმარებოდა სფეროს სორთულეების დაძლევაში. 2020 წელს საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ, კერძოდ, 2019 წლის ქონების გადასახადის გადახდისგან განთავისუფლების შესახებ. ცვლილების ობიექტს წარმოადგენს ქონება, რომელიც გამოყენებულია ტურიზმისა და სტუმართ-მასპინძლობის სფეროში 55.1 კოდით. ცვლილებების თანახმად, კომპანიის ქონების უმეტესი ნაწილი გათავისუფლებულია 2019 წლის ქონების გადასახადისგან.

კომპანიის საქმიანობაზე COVID-19-ის გავლენის ხარისხი დამოკიდებულია მომავალში მოვლენების განვიტარებაზე, რომლებიც ძალიან გაურკვეველია, სხვა ყველაფერთან ერთად, გაურკვეველია დაავადების გავრცელების ხანგრძლივობა, ახალი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გაჩნდეს COVID-19- ის სიმძიმის შესახებ და მოქმედებები, განსაკუთრებით სამთავრობო ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებები, პანდემიის შეკავების ან მისი შედეგების აღმოფხვრის კუთხით. გამომდინარე იქიდან, რომ მოვლენები სწრაფად იცვლება, შეიძლება წარმოიშვას დამატებითი გავლენა, რომლის შესახებაც კომპანიის მენეჯმენტს ამ ეტაპზე არ აქვს ინფორმაცია.

კაპიტალის განაწილებისთვის განკუთვნილი აქტივი

2020 წლის 16 იანვრის ოქმის თანახმად, კომპანიის მესაკუთრემ გაანაწილა კაპიტალის განაწილებისთვის განკუთვნილი აქტივი საბალანსო ღირებულებით 11,840,677 ლარი.

19. საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეჯამება

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული მუხლები იზომება იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საქმიანობს კომპანია ("ფუნქციონალური ვალუტა"). ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა.

ბ) გარიგებები და ნაშთები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში იმ გაცვლითი კურსის გამოყენებით, რომელიც არსებობს ტრანზაქციის ან შეფასების თარიღისთვის. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშვება ასეთი ტრანზაქციის განხორციელების შედეგად და უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების გაცვლითი კურსები კონვერტირებული წლის ბოლოსთვის, აისახება შემოსავლის ანგარიშგებაში.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება და ზარალი, რომელიც უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირებას, წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მუხლის "კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი, წმინდა" სახით სხვა კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებულ მოგებასა და ზარალთან ერთად.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	USD	EUR	TRY
გაცვლითი კურსი 31.12.2019 წლისთვის	2.87	3.21	0.48
გაცვლითი კურსი 31.12.2018 წლისთვის	2.68	3.07	0.51

ფინანსური ინსტრუმენტები

შემდეგი ტერმინები გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკაში შემდეგი განმარტებებით:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფინანსური აქტივების შეთავაზების/წინადადების მიმდინარე ფასს და ფინანსური ვალდებულებებისთვის მიმდინარე მოთხოვნილ ფასს, რომელიც კოტირებულია აქტიურ ბაზარზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ქვემოთ განხილული კატეგორიებიდან ერთ-ერთში, გამომდინარე იქედან თუ რა მიზნით იქნა აქტივი შეძენილი:

რეალური ღირებულება მოგებით ან ზარალით

აღნიშნული კატეგორია მოიცავს წარმოებულებს ფულად და წარმოებულებს უფულოდ, სადაც ღირებულება დროში აკომპენსირებს უარყოფით ნამდვილი ღირებულებას. ისინი აისახებიან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯის მუხლში. კომპანიას არც აქვს არანაირი აქტივი, რომელიც იქნებოდა განკუთვნილი ვაჭრობისთვის და არც ნებაყოფლობით არ ახდენს რომელიმე ფინანსური აქტივის კლასიფიცირებას, რომლებიც ფასდებიან რეალური ღირებულებით მოგებით ან ზარალით.

ამორტიზებული ღირებულება

აღნიშნული აქტივები წარმოიშობა უპირატესად კლიენტებისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებით, მაგრამ ასევე მოიცავს სხვა ფინანსურ აქტივებსაც, რომელთა მიზანიც მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ასეთი აქტივების დაკავება საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეკრების მიზნით, ხოლო საკონტრაქტო ფულადი ნაკადები წარმოადგენენ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს. თავდაპირველად მათი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით პლუს საოპერაციო ხარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ შეძენასთან ან გამოშვებასთან და შედეგად აისახება ამორტიზებულ ღირებულებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და გაუფასურების დებულების გამოკლებით.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება ფასს 9-ის ფარგლებში გამარტივებული მიდგომის საფუძველზე სასარგებლო მომსახურების ვადა, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე (სასარგებლო მომსახურების ვადა) სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. აღნიშნული პროცესის განმავლობაში ფასდება სავაჭრო დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის ალბათობა. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით, რათა განისაზღვროს სავაჭრო დებიტორული დავალიანების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის, რომელიც აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, ასეთი რეზერვები აღირიცხება რეზერვის განცალკევებულ ანგარიშზე, ხოლო დანაკარგი/ზარალი აისახება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. მას შემდეგ რაც დადასტურდება, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანება აღარ ექვემდებარება დაბრუნებას, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერა ხდება შესაბამისი რეზერვის ხარჯზე.

დაკავშირებული მხარეებისგან დებიტორული დავალიანებებისთვის და დაკავშირებული მხარეებისთვის სესხების გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების საპროგნოზო მოდელის საფუძველზე. რეზერვის თანხის განსაზღვრისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია დაფუძნებული იმაზე, ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების მომენტიდან ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. იმ შემთხვევებში, როცა ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების მომენტიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, ხდება თორმეტი თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება მთლიან საპროცენტო შემოსავალთან ერთად. ხოლო იმ შემთხვევებში, როცა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება მთლიან საპროცენტო შემოსავალთან ერთად. იმ შემთხვევებში, როცა კრედიტი განსაზღვრულია გაუფასურებულად, ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება წმინდა საპროცენტო შემოსავალთან ერთად.

ხანდახან კომპანია იღებს გადაწყვეტილებას გადახედოს იმ კლიენტების სავაჭრო დებიტორული დავალიანებების პირობებს, რომლებთანაც ადრე ჰქონდა კარგი სავაჭრო ისტორია. ამგვარი გადახედვა გამოიწვევს გადახდის ვადების ცვლილებას და არა დავალიანების თანხის ცვლილებას და შედეგად ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, ხოლო ნებისმიერი წარმოშობილი სხვაობა საბალანსო ღირებულებასთან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

კომპანიის ფინანსური აქტივები, შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, ასევე ფულს და ფულის ეკვივალენტს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს თანხას სალაროში და დეპოზიტებს განთავსებულს ბანკში მოთხოვნამდე.

რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით

რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივები სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით, აისახება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალური ღირებულების ცვლილებები აისახება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება რეალურ ღირებულებაში სხვა სრული შემოსავლის რეზერვების მეშვეობით. რეალიზაციისას, ნებისმიერი სალდო რეალური ღირებულების ფარგლებში სხვა სრული შემოსავლის რეზერვის მეშვეობით რეკლასიფიცირდება უშუალოდ გადაუნაწილებელ შემოსავალში და არ რეკლასიფიცირდება მოგების ან ზარალის შემადგენლობაში.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული როგორც რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორიდან ერთ-ერთ კატეგორიაში, იმ მიზნიდან გამომდინარე თუ რა მიზნითაც იყო შეძენილი ვალდებულება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის გამოიყურება შემდეგნაირად:

რეალური ღირებულება მოგებით ან ზარალით

აღნიშნული კატეგორია მოიცავს წარმოებულებს უფულოდ, სადაც ღირებულება დროში არ აკომპენსირებს უარყოფით ნამდვილ ღირებულებას. (იხილეთ „ფინანსური აქტივები“ წარმოებულებისთვის ფულად და წარმოებულებისთვის უფულოდ, სადაც ღირებულება დროში აკომპენსირებს უარყოფით ნამდვილ ღირებულებას.) ისინი აისახებიან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანიას არც აქვს არანაირი აქტივი, რომელიც იქნებოდა განკუთვნილი ვაჭრობისთვის და არც რომელიმე ფინანსური ვალდებულება აქვს შეფასებული რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- საბანკო სესხები, რომელთა აღიარებაც საწყის ეტაპზე ხდება წმინდა რეალური ღირებულებით, ინსტრუმენტის გამოცემასთან უშუალოდ დაკავშირებული ნებისმიერი საოპერაციო ღირებულების გამოკლებით. მსგავსი პროცენტიანი ვალდებულებები შედეგად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერ საპროცენტო დანახარჯს, ვალდებულების დაფარვის პერიოდის განმავლობაში, ექნება უცვლელი განაკვეთი ვალდებულების ბალანსზე, რომელიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. თითოეული ფინანსური ვალდებულების მიზნებისთავის, საპროცენტო ხარჯები მოიცავს თავდაპირველი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დანამატს, რომელიც ექვემდებარება ვალდებულების დაფარვისას გადახდას, აგრეთვე ნებისმიერი პროცენტი ან კუპონი, რომელიც ექვემდებარება გადახდას, მანამ სანამ ვალდებულება არ იქნება შესრულებული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპროცენტო ვალდებულება.
- კონვერტირებადი სესხის ვალდებულებების კომპონენტები ფასდება ისე, როგორც არის აღწერილი ქვემოთ. კომაპნიას არ გააჩნია არანაირი კონვერტირებადი სასესხო ვალდებულება.
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოკლევადიანი ფულადი ვალდებულება, რომლებიც საწყის ეტაპზე აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომ ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, და სხვა ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე ან დებიტორულ დავალიანებებს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

სავაჭრო და სხვა დებიტორული ანგარიშები

სავაჭრო და სხვა დებიტორული ანგარიშები წარმოადგენს თანხებს, რომლებიც მომხმარებლების მიერ კომპანიის სასარგებლოდ ექვემდებარება გადახდას გაწეული მომსახურების ან პროდუქციის მიწოდების სანაცვლოდ საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში. თუკი აღნიშნული თანხების შეკრება მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან უფრო ნაკლებ დროში (ან ბიზნესის ჩვეულებრივ საოპერაციო ციკლში, თუ ის უფრო ხანგრძლივ დროს მოიცავს), ეს თანხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, ისინი წარმოდგენილნი არიან გრძელვადიან აქტივებად.

სავაჭრო და სხვა დებიტორული ანგარიშები აღირიცხება დღგ–ს ჩათვლით.

სასაქონლო–მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგები მითითებულია ორი სიდიდის მიხედვით: თვითღირებულებით და სავარაუდო გასაყიდი ფასით დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო ხარჯების გამოკლებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება მარაგების გაუფასურება. თუ მარაგი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის

გასაყიდ ფასამდე დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო ხარჯების გამოკლებით; გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება ნივთების შეძენას.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღაირდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღაირდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები აისახება მისი თავდაპირველი/ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, საბალანსო ღირებულებაზე. ყველა ჯგუფის ძირითად საშუალებას ამორტიზაცია/ცვეთა დაერიცხება წრფივი მეთოდით, რათა განისაზღვროს მათი ღირებულებები შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადებისათვის:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	60
ავეჯი და მოძრავი ქონება	5
მანქანები და მოწყობილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	7
სხვა	3-5

აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ აქტივები სრულად ამორტიზირებულია. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო წლის დასასრულს.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ დაიყვანება მის ანაზრაურებას დაქვემდებარებულ ღირებულებამდე თუკი აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მოსალოდნელ ანაზღაურებად თანხას.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აისახება საწყისი ღირებულებით, რომელსაც აკლდება ამორტიზაცია/ცვეთა და დაგროვებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაცია/ცვეთა ირიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე მათ სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. სასარგებლო მომსახურების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს გადაიხედება, პერსპექტიულ საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი შეფასების გათვალისწინებით.

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამებს, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელს შეადგენს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვადებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსური ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები აისახება დღგ–ს ჩათვლით.

საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადი გადაიდება წმინდა შემოსავლის განაწილებამდე. კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 15% -ს შეადგენს, ტექნიკურად 15% -იანი 85% -იანი განაკვეთი გამოიყენება დასაბეგრი ობიექტის ოდენობაზე.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტებია შემდეგი ოპერაციები / ფაქტობრივი გადახდები:

- დივიდენდების გადახდა;
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის;

- ხარჯები, რომლების არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- გადახდები, რომლების არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საჩუქრები და უფასო მიწოდება;
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივები ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები.

საშემოსავლო გადასახადი, გადახდილი შემოსავლებთან მიმართებაში 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე არ ექვემდებარება მეორეჯერ დაბეგვრას.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ უნდა გადაიხადოს გადასახადები ერთიანი სახაზინო კოდით, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს წმინდა საფუძველზე.

გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა, აღიარდება ვალდებულებითი მოვლენების დადგომისთანავე. ვალდებულებითი მოვლენები წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელიც იწვევს გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობას. გადასახადები, გადახდილი წინასწარ, აღიარდება აქტივის სახით, თუკი მოსალოდნელია რომ მომავალს ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს საწარმო.

შემოსავალი

ვალდებულების შესრულება და შემოსავლის აღიარების ვადები

კომპანიის შემოსავლის მიღება ხდება საქონლისა და მომსახურების გაყიდვის შედეგად, ამასთან შემოსავლის აღიარება ხდება იმ მომენტში, როცა საქონელზე კონტროლის უფლება გადავიდა მყიდველთან. როგორც წესი, ეს ხდება მაშინ როცა საქონელი/მომსახურება მიეწოდება მყიდველს.

შემოსავალი იზომება/ფასდება რეალური ღირებულებით მიღებული და მისაღები შემოსავლების მიხედვით. შემოსავალი აისახება დამატებითი ღირებულების გადასახადის, დაბრუნებების, ფასდათმობებისა და შეღავათების/ფასდაკლებების და კომპანიის შიგნით გაყიდვების ელიმინირების შემდეგ. კომპანიის საქმიანობა მოიცავს მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევას.

მომსახურების მიწოდების კონტრაქტისგან შემოსავალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- შესაძლებელია შემოსავლის მოცულობის სანდოდ შეფასება;
- სავარაუდოა, რომ გარიგებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს პირი(იურ.)/სუბიექტი;
- საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გარიგების დასრულების ეტაპი შეიძლება საიმედოდ შეფასდეს; და
- გარიგებისთვის გაწეული ხარჯები და გარიგების დასრულების ხარჯები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის დიდი ნაწილი მიიღება ისეთი კონტრაქტებისგან, რომლებიც გაფორმებულია ფიქსირებული ფასის მითითებით, ამდენად შემოსავლის ოდენობა, რომლის მიღებაც ხდება თითოეული კონტრაქტისგან, განისაზღვრება აღნიშნული ფიქსირებული ფასების საფუძველზე.

ვალდებულებათა თანხების გადანაწილება ვალდებულების შესრულების მიხედვით

კონტრაქტებისთვის არსებობს ფიქსირებული ფასი თითოეული გაყიდული პროდუქტისთვის, ფასდაკლების გათვალისწინებით, რომელიც მოქმედებს კონკრეტულ დროს საბითუმოდ შეკვეთილ პროდუქციაზე. ამდენად, ასეთ კონტრაქტებში არ არის არანაირი მსჯელობა, რომელიც უკავშირდება საკონტრაქტო ფასის განაწილებას თითოეული შეკვეთილი ერთეულისთვის. (აღნიშნული მოიცავს მთლიან საკონტრაქტო ფასს, რომელიც გაყოფილია შეკვეთილი ერთეულების რაოდენობაზე). თუ კლიენტი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქციის ხაზს, კომპანიას შეუძლია განსაზღვროს საერთო საკონტრაქტო ფასის გაყოფა აღნიშნული პროდუქტების ხაზებს შორის, თითოეული პროდუქტის ცალკეულად აღებული გასაყიდი ფასის მისხედვით (პროდუქციის ყველა ხაზი შეიძლება გაიყიდოს და იყიდება განცალკევებით).

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიქმნება მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც უკავშირდება აქტივის შემცირებას ან ვალდებულების გაზრდას, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ხარჯების, რომელთა გაწევაც მოხდა მომსახურების მიწოდებისას, აღიარება ხდება აღიარებული შემოსავლების პროპორციულად. ხარჯები აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯებს შედეგად აღარ მოსდევს მომავალი ეკონომიკური სარგებელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან ბალანსში აქტივად აღაირების მოთხოვნას.

თანამშრომელთა სარგებელი

გაწეული შრომის ანაზღაურების, ხელფასების, ბონუსების და არაფულადი სარგებელის აღიარება ხდება იმ წელში, რომელშიც შესაბამისი მომსახურებები იქნა გაწეული კომპანიის თანამშრომელთა მიერ.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონონიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს:

(ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

(ბ) კანონმდებლობიდან; ან

(გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

იჯარა

კომპანია, როგორც მეიჯარე

როგორც წესი, 2019 წლის 1 იანვრის თავდაპირველი განაცხადის შემდეგ კომპანიისთვის გამოიყენება შემდეგი პოლიტიკები.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას, როცა ის გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას გარკვეული დროის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ. ხელშეკრულების დადებისას, კომპანია აფასებს აკმაყოფილებს თუ არა იგი ორ შემდეგ კუმულატიურ პირობას, იჯარად კვალიფიკაციისთვის:

- მისი შესრულება მოიცავს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას და
- ის გადასცემს მითითებული აქტივის გამოყენების წარმართვის უფლებას.

თავდაპირველი აღიარება

იჯარის ყველა ხელშეკრულების აღრიცხვა ხდება აქტივების სარგებლობის უფლების ქონისა და საიჯარო ვალდებულების აღიარებით, გარდა:

- დაბალი ღირებულების აქტივების იჯარა; და
- იჯარა 12 თვიანი ან ნაკლები ხანგრძლივობით.

კომპანიის ბალანსში იჯარის აღიარება ხდება შემდეგნაირად:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს ძირითადი აქტივის გამოყენების უფლებას საიჯარო ვადის განმავლობაში;
- საიჯარო გადასახადის გადახდის ვალდებულება.

საიჯარო ვალდებულებები ფასდება სახელშეკრულებო გადასახადების ამჟამინდელი ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს მოიჯარის ვალდებულებას იჯარის ვადის განმავლობაში, ფასდაკლების მაჩვენებლით, რომელიც განისაზღვრება საიჯარო თანხის განაკვეთის მითითებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის მარტივად განსაზღვრა შეუძლებელია, ამ შემთხვევაში გამოიყენება კომპანიის დამატებითი ნასესხები სახსრების მოზიდვის მაჩვენებელი იჯარის დასაწყისისთვის. ცვლადი საიჯარო გადასახადები შედის საიჯარო ვალდებულების გაზომვაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.

თავდაპირველი აღიარებისას, საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება ასევე შეიცავს:

- მოსალოდნელი ხარჯები რომელიც უნდა იქნას გადახდილი ნებისმიერი ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულების გარანტიით;
- კომპანიის სასარგებლოდ მინიჭებული შეძენის ნებისმიერი მყიდველის ოპციონის შესრულების ფასი, თუ გონივრულია, რომ მოხდეს ასეთი არჩევანის შეფასება;
- საიჯარო შეწყვეტისთვის გადასახდელი ნებისმიერი ჯარიმა, თუ იჯარის ვადა შეფასებულია შეწყვეტის ოფციონის საფუძველზე.

ძალაში შესვლის დღეს კომპანია აფასებს აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით. აქტივებით სარგებლობის უფლების ღირებულებაში შედის:

- საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასების ოდენობა;
- საიჯარო გადასახადები, რომლებიც შესრულებულია იჯარის ძალაში შესვლისას ან მის დაწყებამდე;
- გაწეული პირველადი პირდაპირი ხარჯები; და
- ნებისმიერი დებულებით გათვალისწინებული, აღიარებული თანხა, როდესაც კომპანია ხელშეკრულების პირობებით ვალდებულია განახორციელოს იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟი, აღება/ადგილიდან წაღება ან აღდგენა (როგორც წესი, იჯარით აღებული აქტივის დანგრევა/აღდგენის პირობები).

შემდგომი შეფასება

საწყისი შეფასების შემდეგ, საიჯარო ვალდებულებები იზრდება პროცენტის შედეგად, რომელიც თანხის მუდმივი პროცენტით დარიცხულია დარჩენილი ბალანსზე და შემცირდება საიჯარო გადასახდელებისათვის. სარგებლობის უფლების მქონე აქტივები ამორტიზება ხდება წრფივი ჩამოწერის მეთოდის საფუძველზე იჯარის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ, იშვიათად, მაგრამ ჩაითვალა რომ ეს უკანასკნელი უფრო მოკლეა, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია განიხილავს იჯარის ვადებს შეფასებისთვის (რადგან, მაგალითად, იგი ხელახლა აფასებს მოიჯარის გახანგრძლივების ან შეწყვეტის ოფციონის გამოყენების ალბათობას), იგი არეგულირებს საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, რომ ასახოს გადახდები. შესწორებული ვადის განმავლობაში, რომლებიც ფასდაკლებულია შესწორებული ფასდაკლების განაკვეთით.

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ანალოგიურად გადაისინჯება, როდესაც სამომავლო საიჯარო გადასახადების ცვლადი ელემენტი დამოკიდებული განაკვეთზე ან ინდექსზეა, გარდა ფასდაკლების განაკვეთისა რომელიც უცვლელი რჩება. ორივე შემთხვევაში ექვივალენტური კორექტირება ხორციელდება გამოყენების უფლებაში მქონე აქტივის საბალანსო ღირებულებასთან, შესწორებული საბალანსო ღირებულების ამორტიზაცია ხდება დარჩენილი (შესწორებული) საიჯარო ვადის განმავლობაში. თუ სარგებლობის უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულება ნულამდე დაკორექტირდა, ნებისმიერი შემდგომი შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც კომპანია ხელახლა აწარმოებს იჯარის ხელშეკრულების პირობების მოლაპარაკებას გამქირავებელთან, აღრიცხვა დამოკიდებულია ცვლილების ხასიათზე:

- თუ ხელახალი მოლაპარაკების შედეგად მოხდა ერთი ან მეტი დამატებითი აქტივის იჯარით აღება და მისი ღირებულებით როგორც ეს შეესაბამება ცალკე აღებული აქტივის ღირებულებას, მოდიფიკაცია აღირიცხება როგორც ცალკე იჯარა ზემოთ მოცემული პოლიტიკის შესაბამისად;
- ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც ხელახალი მოლაპარაკება ზრდის საიჯარო მოქმედების მასშტაბს/მოცულობას (იქნება ეს საიჯარო ვადის გაგრძელება, თუ ერთი ან მეტი დამატებითი აქტივი

იჯარით აღებულია), საიჯარო ვალდებულება განისაზღვრება ცვლილების თარიღზე მოქმედი ფასდაკლების განაკვეთის გამოყენებით, სარგებლობის უფლებაში მქონე აქტივის კორექტირებით იმავე ოდენობით;

- თუ ხელახალი მოლაპარაკება იწვევს იჯარის მოქმედების მოცულობის შემცირებას, საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება და აქტივის სარგებლობის უფლების ღირებულება შემცირდება იმავე პროპორციით, რათა ის აისახოს როგორც იჯარის ნაწილობრივი ან სრული დასრულება, მოგების ან ზარალის ნაწილში დაფიქსირებული ნებისმიერი სხვაობით. საიჯარო ვალდებულება შემდგომ კორექტირდება, რათა საბალანსო ღირებულებამ ასახოს ხელახალი მოლაპარაკებებით გადასახდელი თანხების ოდენობა დაკორექტირებული საიჯარო ვადების საპირწონედ, მოდიფიკაციის დღეს მოქმედი განაკვეთით დაკორექტირებული, შეცვლილი საიჯარო გადახდებით, სარგებლობის უფლებით აღებული აქტივი კორექტირდება იმავე ოდენობით.

კომპანია ირჩევს, აქტივის სახეობის ხედვით, არ გამოყოს არასაიჯარო კომპონენტები საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად აღრიცხავს თითოეული საიჯარო კომპონენტს და მასთან დაკავშირებულ არასაიჯარო კომპონენტებს, როგორც ერთ საიჯარო კომპონენტს.

საიჯარო ვადის განსაზღვრა

საიჯარო ვადა განისაზღვრება, როგორც საიჯარო არა-გაუქმებადი ვადა, აგრეთვე ნებისმიერი პერიოდი, რომელიც მოიცავს საიჯარო ვადის გაგრძელების არჩევანს (მათ შორის, ჩვეულებრივი ბიზნესის პრაქტიკაში გათვალისწინებული განახლების არჩევანს), თუ იგი გონივრულია, რომ უნდა იქნას გამოყენებული, ან ნებისმიერი ვადა გათვალისწინებული იჯარის შეწყვეტის პირობით, თუ გონივრულია, რომ ის არ განხორციელდება.

მენეჯმენტი იყენებს გადაწყვეტილებას საიჯარო ვადის დადგენის თაობაზე, როდესაც საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს განახლების ოფციებს, რომლებიც მხოლოდ კომპანიის მიერ ხორციელდება. იგი განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტორს, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს განახლების ვარიანტის გამოყენებისათვის. ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვადას, თუ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან ვითარების შეცვლა, რაც მის კონტროლს ექვემდებარება და გავლენას ახდენს მისი მოქმედების განახლების ან ლიზინგის შეწყვეტის შესაძლებლობის გამოყენებაზე (ან არ გამოიყენებაზე).

დამატებითი სესხის პროცენტის განაკვეთის განსაზღვრა (IBR)

IBR არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მოიჯარეს უნდა გადაეხადა რათა აეღო მოეპოვებინა სახსრები, მსგავსი ვადით და მსგავსი გარანტიებით, რომლებიც აუცილებელი იქნებოდა მსგავსი ღირებულების აქტივის გამოყენების უფლების მისაღებად, ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში.

მენეჯმენტი იჩენს წიდახედულებას IBR– ის შესაფასებლად. მენეჯმენტი იყენებს ხელმისაწვდომ ინფორმაციას, რათა განისაზღვროს საბაზო განაკვეთი და მოიჯარის სპეციფიკური ფაქტორების და აქტივის ფაქტორებისთვის კორექტირება (კორექტირება უსაფრთხოებისთვის).

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში, ყოველდღიურ ბიზნესის პრაქტიკაში მიღებულია საიჯარო განახლების ოპცია იყოს ნაგულისხმევი და ამიტომ ყველა განახლება არ არის დოკუმენტირებული საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს, რომ გადახდება განახლებული პერიოდებისთვის უცვლელი რჩება საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარა

კომპანია იყენებს აღიარების შეღავათს მოკლევადიანი იჯარებისთვის (ე.ი. იჯარა საიჯარო ვადით 12 თვე ან ნაკლები დაწყების დღიდან) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარისთვის. ასოცირებული საიჯარო გადასახადები აღიარებულია, როგორც ხარჯი შემოსავლების ანგარიშგებაში პროპორციული ჩამოწერის მეთოდით საიჯარო ვადის განმავლობაში.